„ქუჩის პოლიტიკის" სეზონი იწყება

A2

რუსეთისა და ჩინეთის საერთო ხედვა ახალ მსოფლიო წესრიგზე

A4

დაკავებულ ძიუდოისტებს სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ

მასობრივი არეულობა რუსთაველზე

A5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი პარასკევი, 1 ივლისი, 2005 წელი. №147 (1007) ფასი 50 თეთრი

"თეთრი სარტყელი" სიღარიბის წინააღმდეგ

თამარ მაისურაძე

დღეს, რუსთაველის გამზირზე თეთრად შემოსილმა ხეებმა არ დაგაბნიოთ - ამ აქციით საქართველო სიღარიბის პრობლემის არსებობას აღიარებს. „თეთრი სარტყელის" დღეს, 1 ივლისს, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ.

საქართველომ კი ეს ვალდებულება 2000 წელს აიღო. 2000 წლის სექტემბერში ხელმოწერილი დეკლარაციის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველომ შეიმუშავა რვა მიზანი, რომელიც 15 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსახლეობაში უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას წარმოადგენდა.

„მომავალი სიღარიბის გარეშე," – ასეთი გახლდათ გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" ჩატარებული ფორუმის ლოზუნგი.

„ჩვენი მიზანია, შევახსენოთ მთავრობას, რომ თითოეული მოქალაქის სოციალური გასაჭირი - ეს საზოგადოების პრობლემაა, რომლის მოსაგვარებლადაც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ," - განაცხადა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრმა ანი ქათამაძემ.

„ყოველდღიურად მსოფლიოში 58 ათასი ადამიანი უკიდურესი სიღარიბის გამო იღუპება. ყოველ 3 წამში აზიაში, აფრიკაში, ევროპასა და ამერიკაში 1 ბავშვი იღუპება. საქართველოში ყოველი მეოცე ბავშვი ვერ აღწევს 5 წლის ასაკს. ყოველი მეოთხე ჩვენი თანამემამულე ვერ იღებს სრულფასოვან საკვებს, ყოველ მეორე ავადმყოფს არ შეუძლია მკურნალობის ხარჯის დაფარვა. საქართველოს ხელისუფლების ეფექტური ქმედებით შესაძლებელია სოციალური პირობების რადიკალური გაუმჯობესება," - აღნიშნა „ოქსფამის" პროგრამების მენეჯერმა ქეთი გეთიაშვილმა.

როგორც გუშინ „თბილისი-მარიოტში" შეკრებილი საზოგადოება აღნიშნავდა, ფორუმზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემების მიმართ ზერელე დამოკიდებულება. **„გაირკვა, რომ თითოეული სახელმწიფო უწყება თავისთვის ცდილობს ამ პრობლემების მოგვარებას. მათი მაკოორდინებელი სამსახური, რომელიც ამ უკანასკნელთა საქმიანობაზე პასუხისმგებელი იქნება, არ არსებობს,"** – გვითხრა ანი ქათამაძემ.

„მომავალი - სიღარიბის გარეშე" მთავრობისთვის რეკომენდაციების მომზადებას გეგმავს, რათა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება შედეგებზე იყოს ორიენტირებული.

ამინდი

	1/07	2 /07
თბილისი	35	36
ბათუმი	32	34
სოხუმი	30	32
დმანისი	27	27
გორი	30	31
ონი	27	28
ზუგდიდი	33	36
ახმეტა	34	35

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8125
ევრო	2.1888
ბირვანძა სტერლ.	3.2688
რუბლი	0.0633

ამბები	A 2
ამბები	A 3
უცხოეთი	A 4
სამართალი	A 5
ტენდერი	A 6
ტენდერი	A 7
კვირის TV პროგრამა	A 8
ნომრის სტუმარი	B 1
სპორტი	B 2
რევიუ	B 3
სხვადასხვა	B 4

რიგგარეშე ვნებათაღელვა პარლამენტში

უმრავლესობას, თბილისის შესახებ კანონპროექტის განხილვისას, ხშირად მოჰყავდა ევროპელი ექსპერტების ციტატები.

ირაკლი ლეონიძის ფოტო

თბილისისთვის "ბრძოლა" დასასრულს მიუახლოვდა - გუშინ, რიგგარეშე სესიის სხდომაზე, პარლამენტმა გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივა მეორე მოსმენით მოიწონა. რჩება მხოლოდ ფორმალური მხარე - დოკუმენტის რედაქტირება, რაც დღეს მოხდება და ამით საარჩევნო ბატალიების ერთი ციკლი დასრულდება.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ ოპოზიციამ საპარლამენტო უმრავლესობას საქმე მნიშვნელოვნად გაუიოლა: "კონსერვატორებმა" და "მემარჯვენე ოპოზიციამ" საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და სხდომათა დარბაზი დატოვეს.

"ხდება დემოკრატიის ფალსიფიცირება. სახელისუფლებო ფრაქცია, დემოკრატიის ნაცვლად, მის სუროგატს გვთავაზობს," - ასე ხსნის დემარშის მიზეზს ოპოზიცია. მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის, ივლიანე ხაინდრავას თქმით კი, თბილისის მერის არაპირდაპირი არჩევით სერიოზული ბზარი ჩნდება ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

ოპონენტების პროტესტი სახელისუფლებო გუნდს ოდნავაც არ აშფოთებს. პირიქით: "კონსერვატორების" და "მემარჯვენე ოპოზიციის" ქმედება "ნაციონალებს" კარგ განწყობას უქმნის. გიგა ბოკერია დემარშის ორგანიზატორებს "ურჩევს", რომ ბოიკოტი არჩევნებსაც გამოუცხადონ, რითაც ქვეყანა მხოლოდ მოიგებს.

"არგუმენტები და პოლიტიკური ნება არა გაქვთ. დემარშის გზით ჩვენს შეშინებას და დათმობებზე წასვლას ვერ ეღირსებით," - სიტყვა დააწია დარბაზიდან მიმავალ კოლეგებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გოჩა დოლბაიას განმარტებით, კლუბის დირექტორის წინასწარი თანხმობა შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე უარით შეიცვალა, რაც, სავარაუდოდ, "ცენტრიდან" მიღებულმა ინსტრუქციამ განაპირობა. ალტერნატივა ოპერატიულად გამოინახა, მომხდარი ფაქტის დავითაშვილისეული ინტერპრეტაცია კი უკვე ქალაქის კინოთეატრის დარბაზში შეკრებილ ელექტორატთან ამგვარად გაჟღერდა: "ინციდენტის მიზანი იყო, ხალხი ორ დარბაზს შორის გაბნეულიყო, ტელევიზიას კი ცარიელი დარბაზი დაეფიქსირებინა და ეთქვა, რომ კონსერვატორებთან შეხვედრამ

გაგრძელება A3 გვერდზე

"არარევოლუციური" ცვლილებები მთავრობის ეკონომიკურ ბლოკში

თამარ ხორბალაძე

ხელისუფლებას ფინანსთა მინისტრის საპოვნელად ათი დღე არ დასჭირვება. არც მედიის მიერ "დახლართული" გადანაცვლებების მოლოდინი ასრულებულა. არც ნოღაიდელი დაბრუნებია ძველ პოსტს და არც გილაურისთვის უბოძებიათ ეკონომიკის მინისტრის პოსტი, არც ოქრუაშვილი ან მერაბიშვილი დაწინაურებულა პრემიერად და არც ბარამიძე გადაუნაცვლებიათ კანცელარიიდან... ყველაფერი უფრო მარტივად და "არარევოლუციურად" განვითარდა: დღეიდან, ფინანსთა სამინისტროს - ალექსი ალექსიშვილი, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ირაკლი ჩოგოვაძე უხელმძღვანელებს.

ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ალექსი ალექსიშვილი დღემდე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობდა, მანამდე კი ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო - ორჯერ, ისევე, როგორც თავად ნოღაიდელი. ასეც ითქვა გუშინ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ხიდი ისტორიას და ისტორიას შორის

და დანიშნული მერი არჩევითის შესახებ

მაია ჭალაგანიძე

"ქალაქად, რომელიც ჩვენს ქალაქს არ ჰგავს" თბილისის გადაქცევას არც მხოლოდ რუსთაველის გადაკეტვა ითვალისწინებს და არც "თბილისი სიტის" სხვა სანაპიროზე გადატანა. პირველ რიგში, ეს ცვლილებები ეხება ადგილს, სადაც ჩვენი ეროვნული საგანძურის, ალბათ, 80 პროცენტზე მეტია დაცული. ხვალ, საღამოს 9 საათზე გუდიაშვილის ქუჩაზე დიდი პრეზენტაცია გაიმართება. ეს იქნება პრეზენტაცია კონკურსისა, რომლის მიხედვითაც შეიქმნება ე.წ. ხელოვნების უბნის განვითარების კონცეფცია. ისტორიული მემკვიდრეობა არის ის ექსპორტი, რითი სიამაყეც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად შეუძლია. განათლება და შემეცნება დეკლარირებულად ყოველთვის იყო პრიორიტეტული, მაგრამ ამ სფეროს კომერციულად მომგებიანად არავინ თვლიდა. მიჩვეულები ვიყავით მდუმარე, დაცლილ და გაყინულ საექსპოზიციო დარბაზებს. გვესმოდა მუზეუმის მესვეურთა მუდმივი წუწუნი უსახსრობის გამო უნიკალური ექსპონატების განადგურების შესახებ. ხალხი უთანაგრძნობდა საგანძურს, სახელმწიფო კი ვერასდროს პოულობდა სახსრებს მის გადასარჩენად. ხვალ საღამოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა, კერძო ინვესტორი და მუნიციპალიტეტი ერთობლივ ნამუშევარს წარადგენენ - დოკუმენტს, რომელიც გულისხმობს ხანგრძლივ, მაგრამ საიმედო გზას, რომელიც ახალი ტიპის ქალაქამდე მიგვიყვანს. ამ თემაზე ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ერთად გვესაუბრებიან. რა თქმა უნდა, ქალაქის მოქმედ თავს მერის არჩევითობაზეც ვესაუბრეთ.

გაგრძელება B1 გვერდზე

"კონსერვატორების" ლიდერს ფოთში დარბაზი არ დაუთმეს

"ჩვენ ვიქნებით ხელისუფლების პოლიტიკური სკლეროზის წამალი," - ამბობს კობა დავითაშვილი

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

არც თუ დიდი ხნის წინ ნაციონალებმა ფოთის მეზღვაურთა კლუბის დარბაზში პომპეზური კონფერენცია მოაწყვეს, 29 ივნისს კი იმავე დარბაზში კობა დავითაშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრა ვერ შეძლო.

კონსერვატორული პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის, გოჩა დოლბაიას განმარტებით, კლუბის დირექტორის წინასწარი თანხმობა შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე უარით შეიცვალა, რაც, სავარაუდოდ, "ცენტრიდან" მიღებულმა ინსტრუქციამ განაპირობა. ალტერნატივა ოპერატიულად გამოინახა, მომხდარი ფაქტის დავითაშვილისეული ინტერპრეტაცია კი უკვე ქალაქის კინოთეატრის დარბაზში შეკრებილ ელექტორატთან ამგვარად გაჟღერდა: "ინციდენტის მიზანი იყო, ხალხი ორ დარბაზს შორის გაბნეულიყო, ტელევიზიას კი ცარიელი დარბაზი დაეფიქსირებინა და ეთქვა, რომ კონსერვატორებთან შეხვედრამ

გაგრძელება A3 გვერდზე

აფხაზეთის ბანკებს ანგარიშების გახსნას ქართულ ბანკებში შესთავაზებენ

გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებით საპარლამენტო კომისიას აფხაზეთის ბანკებთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია გააცნო.

რომან გოცირიძე მოულოდნელს უწოდებს რუსეთის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყნის ბანკებში აფხაზეთის კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები გაიყინა. ამით აფხაზეთსა და რუსეთს შორის ფინანსური ანგარიშსწორება შეჩერდა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინფორმაციით, ამჟამად აფხაზეთის მთავრობის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში საკითხის მოსაგვარებლად მოსკოვში იმყოფება.

გოცირიძე არ გამორიცხავს, რომ ქართულმა მხარემ აფხაზეთის კომერციულ ბანკებს ქართულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა შესთავაზოს.

"ეს გადაწყვეტილება იმით შეიძლება გავამართლოთ, რომ რეგიონი სრულ ფინანსურ ბლოკადაში არ აღმოჩნდეს," - აღნიშნავს გოცირიძე.

24 საათი

შვეიცარული კომპანია ეროვნულ ბანკს დაეხმარება

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მაღალი დაცვის პოლიგრაფიული მანქანების მწარმოებელი შვეიცარული კომპანია KBA GIORI-ის რეგიონული დირექტორი სერგეი პივენი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძისთვის გამოგზავნილ წერილში ფულის ნიშნების დიზაინზე მომუშავე ქართველი სპეციალისტების მომზადების სურვილს გამოთქვამს.

რომან გოცირიძის შეხვედრა კომპანიის რეგიონულ დირექტორთან ერთი კვირის წინ გაიმართა. სერგეი პივენმა ეროვნულ ბანკს ფულის ნიშნების დიზაინერებისათვის სპეციალური ტრენინგის უსასყიდლოდ ჩატარება შესთავაზა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილში სერგეი პივენი აღნიშნავს, რომ ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ კვირაში კომპანიის წარმომადგენლები თბილისს ეწვევიან. ვიზიტის ფარგლებში მათ დაგეგმილი აქვთ კომპანიის საქმიანობის პრეზენტაცია და საქართველოს ეროვნულ ბანკთან შემდგომი თანამშრომლობის გეგმების დასახვა. მათ შორის გათვალისწინებულია ტრენინგ-სემინარის ჩატარება, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობის მიღება შეეძლებათ ფულადი ნიშნების დიზაინზე მომუშავე და ამ სფეროთი დაინტერესებულ ქართველ სპეციალისტებს.

მაღალი დაცვის პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია KBA GIORI-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მომხმარებლისთვის ფულის ნიშნების დამზადების სერვისის სრული პაკეტის შეთავაზებაა. კომპანიის 1500-ზე მეტი საბეჭდი მანქანა მსოფლიოს 175 ქვეყნის ფულად ნიშნებს უშვებს.

24 საათი

თბილისში ტყუპი ცათამბჯენები აშენდება

"შემოდგომაზე, თბილისის ცენტრალურ უბანში, 110 მეტრზე მეტი სიმაღლის ორი ცათამბჯენის მშენებლობა უნდა დაიწყოს," - ეს განცხადება გუშინ თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და სამშენებლო კომპანია "აქსისის" პრეზიდენტმა ალექსანდრე მეჟევიძემ გააკეთეს. მართალია, მათ მშენებლობის დეტალებზე უკვე ისაუბრეს და მხარდაჭერისთვის საქართველოს პრეზიდენტს მადლობაც გადაუხადეს, თუმცა პროექტი თბილისის სივრცითი მოწყობისა და დაგეგმარების სამსახურებს ჯერ არ შეუთანხმებია.

თამარ დვალი

"პირველი ქართული ცათამბჯენი 110 მეტრზე მეტი სიმაღლის 30-სართულიანი ორი იდენტური ფორმის და სიმაღლის, თანაბარი მოცულობის კოშკისაგან შედგება, რომელთაც ერთმანეთთან ხიდი დააკავშირებს," - ნათქვამია თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ მედიაანონსში.

გუშინ ზურაბ ჭიაბერაშვილმა ახალი წამოწყება ასე შეაფასა: **"მართალია, მე ამ პროექტის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დღეს მთავრობაც და მუნიციპალიტეტიც მხარს უჭერს "აქსისის" წამოწყებას. მიგვაჩნია, რომ ახალ და კარგ ინიციატივებს ფართოდ უნდა გავუხსნათ გზა. არქიტექტურული თვალსაზრისით, ეს არის სიახლე, რომელიც შესაძლოა მომავალში ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათადაც კი იქცეს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

თბილისი წყალს შეუზღუდავად მიიღებს

დღეიდან თბილისში სასმელ წყალზე დაწესებული გრაფიკები მოიხსნება და მოსახლეობას წყალი შეუზღუდავად მიეწოდება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მაის-ივნისში, კოკისპირული წვიმებისა და წყალდიდობების შედეგად, მნიშვნელოვნად დაზიანდა არაგვის ხეობის წყალსადენებისა და ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის ნაგებობა და კომუნიკაციები. ჭოპორტი-მისაქციელის, ბულაჩაურის, მუხიანისა და არაგვის აქტიური კალაპოტის წყალსადენის გამორთვამ კი სასმელ წყალზე გრაფიკების დაწესების აუცილებლობა განაპირობა. თუმცა, ორკვირიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, უკვე აღდგა 1 100 მმ დიამეტრისა და 1 200 მეტრი სიგრძის წყალსადენის ჭოპორტი-მისაქციელის მონაკვეთი. ამ ღონისძიების წყალობით კი, დედაქალაქის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და სასმელი წყლის მიწოდებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნა შესაძლებელი გახდა.

24 საათი

დევნილები თბილისის 167-ე ბაგა-ბაღში შეიჭრნენ

ირმა კახურაშვილი

გუშინ, ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონის მეორე კვარტალში მდებარე ბაგა-ბაღში ლტოლვილები შეიჭრნენ. მათი განცხადებით, შენობაში, სადაც ისინი ადრე ცხოვრობდნენ, წყალგაყვანილობა არ იყო, ამიტომ მათ "წყლიანი" საცხოვრებელი ფართი შეარჩიეს.

სამსახურში მოსულ, 167-ე ბაგა-ბაღის დირექციას დევნილები შენობაში დახვდნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც, ახლო-მახლო მცხოვრებმა მოსახლეობამ პატრული და ისანი-სამგორის გამგეობის წარმომადგენლები გამოიძახა.

"ბავშვებს უნდა ეზეიმათ. რამდენიმე ჯგუფს გამოსაშვები ღონისძიება ჰქონდა. მომხდარი ინციდენტის გამო, ზეიმი რამდენიმე საათით გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ პატრული დროულად მოვიდა და სიტუაციის განმუხტვა მოახერხა, მაინც ძალიან შეგვეშინდა. რამდენიმე წლის წინ დევნილები ამავე რაიონის ერთ საბავშვო ბაღში შეიჭრნენ და მაშინ მათი შენობიდან გაყვანა ვერ შეძლეს," – გვითხრეს 167-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლებმა.

ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის გიორგი ქორქაშვილის განცხადებით, საბავშვო ბაღში დევნილების შეჭრის შესახებ ინფორმაცია დილით, ცხრის ნახევრისთვის შემოვიდა. **"რამდენადაც ვიცი, დევნილები, ძირითადად, ქალები და ბავშვები იყვნენ. საბედნიეროდ, ყველაფერი ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე დასრულდა. ჩემი აზრით, ასეთ უკანონო შეჭრებს წერტილი უნდა დაესვას,"** – გვითხრა გიორგი ქორქაშვილმა.

ინტელექტუალური ჩემპიონატი

ეკატერინა ფოჩუა

116-ე სკოლის "იბერიელები" - ჩემპიონატის დებიუტანტი ფინალისტები.

გუშინ თოჯინების ქართულ თეატრში ჩატარდა თბილისის მასწავლებელთა მეექვსე და მოსწავლეთა ინტელექტუალური თამაშების მეშვიდე საქალაქო ჩემპიონატის ფინალი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში.

ეს "ჩემპიონატი" უკვე მეშვიდედ ტარდება. წელს ასმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა და ფინალში ერთმანეთს 167-ე სკოლის მეათეკლასელების გუნდი "ქართლოსიანები" და 116-ე სკოლის მერვეკლასელები შეხვდნენ. "ქართლოსიანებმა" ანგარიშით სამით ორი გაიმარჯვეს. ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ მასწავლებელთა გუნდებიც და სიმბოლური, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შერეული ნაკრებებიც.

ფინალის მონაწილეები პრიზებით დაჯილდოვდნენ.

როგორც ამ ინტელექტუალური ჩემპიონატების თავკაცმა, მეოთხე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა დავით მესხორიძემ აღნიშნა, ამ მრავალწლიან ღონისძიებას ბევრი პლუსი აქვს, მათ შორის - ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ მოსწავლე-მასწავლებელთა შემოქმედებითი ურთიერთობა, რაც სასწავლო პროცესს ინტერაქტიულს ხდის და მის ეფექტურობას ამაღლებს.

24 საათი

საქართველოს ეროვნული ბანკი სამძიმარს უცხადებს
ბატონ მამუკა ხაზარაძეს მამის
მამია ხაზარაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

„ქუჩის პოლიტიკის" სეზონი იწყება

ვერიკო თევზაძე

მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის მოთხოვნით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ პარლამენტის შენობასთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს.

"ბოიკოტი დანიშნულ საკრებულოს!" "რეფერენდუმი ცესკო-ს ლუსტრაციაა!" "არა, დანიშნული საკრებულო!" – ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით დახუნძლულმა ედპ-ლებმა გეზი პარტიის შტაბ-ბინიდან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსკენ აიღეს.

ედპ-ს მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის გოგა გოგნიაშვილის აზრით, **"დემოკრატიის ნიშნით მოსული ხელისუფლება დემოკრატიას ასამარებს."**

პარლამენტის შენობის გარეთ მდგარი, აქციის მონაწილეები ცდილობდნენ, ზემოქმედება მოეხდინათ პარლამენტის შენობაში მყოფ საპარლამენტო უმრავლესობაზე, რომელიც მეორე მოსმენით განიხილავდა თბილისის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტს: **"საბედნიეროდ, დღეს კიდევ შესაძლებელია ვითარების განმუხტვა – კანონპროექტის მეორედ მოსმენის დროს თქვენ შეგიძლიათ დაუბრუნოთ ხალხს წართმეული უფლება და აღუდგინოთ შელახული ღირსება!"**

ილონა ლორთქიფანიძის ფოტო

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქცია პარლამენტთან.

"ნუ გაიმეორებთ წინა ხელისუფლების შეცდომებს!" "ნუ დაემსგავსებით ლუკაშენკოსა და სხვა დიქტატორთა მორჩილ უმრავლესობას!" "შეასრულეთ ხალხის მოთხოვნა, დაემორჩილეთ ხალხის ნებას!" - ეს გახლავთ მოწოდებები სპეციალური მიმართვის ტექსტიდან, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობას გაუგზავნა.

თუ საპარლამენტო უმრავლესობამ კანონპროექტს მხარი დაუჭირა, ედპ-ს წარმომადგენლები გამოსავალს რეფერენდუმში ხედავენ. რეფერენდუმის იდეის კრახის შემთხვევაში, ისინი პერმანენტული აქციების გამართვას აპირებენ. **"გამოდის, რომ ხელისუფლება ერთადერთ გზას, ქუჩას გვიტოვებს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გოგა გოგნიაშვილმა.

ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე კიდევ რვა ობიექტი გამოაქვს

გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმ სახელმწიფო ობიექტების პრეზენტაცია გაიმართა, რომლებიც 7 ივლისს აუქციონზე გაიყიდება.

კერძოდ, წარმოდგენილი იყო რვა ობიექტი. ესენია: შპს სანატორიუმ-სასტუმრო "ოაზისის" 100 პროცენტი სახელმწიფო წილი. ქონებას შეადგენს ძირითადი სამი შენობა მიწის ნაკვეთით შავი ზღვის სანაპიროზე. "ოაზისი" დაბა ჩაქვში მდებარეობს. მისი საწყისი ფასია 4 400 000 აშშ დოლარი;

მეორე ობიექტია შპს "კოლხეთი" 100 პროცენტი სახელმწიფო წილით. იგი ქობულეთში მდებარეობს და 1 300 000 აშშ დოლარად არის შეფასებული.

მესამე ობიექტია ასევე ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში მდებარე სს პანსიონატი "ცისარტყელა". მისი საწყისი ფასია 800 000 აშშ დოლარი.

ციხისძირში ასევე იყიდება სს დასასვენებელი სახლის, "ციხისძირის" 99,90 პროცენტი სახელმწიფო წილი. ქონებას შეადგენს ადმინისტრაციული შენობა, კოტეჯი, სასადილო შენობა, კლუბის შენობა, ოთხი საძილე კორპუსი და მიწის ფართი. მისი საწყისი ფასია 200 000 აშშ დოლარი.

მეხუთე ობიექტი შპს "მერქანის" 100 პროცენტი სახელმწიფო წილია. ქონებას შეადგენს თბილისში, ლილოში, იუმაშევის N12-ში არსებული მიწის ფართი. მისი საწყისი ფასია 90 000 აშშ დოლარი.

მომდევნო ობიექტი, რომელიც ასევე თბილისში მდებარეობს, შპს "კრწანისი 2000"-ის სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილია. ქონების საწყისი ფასია 20 000 აშშ დოლარი. ობიექტი წინანაურის N1-ში მდებარეობს.

ოზურგეთის რაიონის დაბა შეკვეთილში მდებარეობს შპს "ივერია PS"-ის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, პანსიონატ "ურეკის" ქონება. მისი საწყისი ფასია 500 000 აშშ დოლარი. ბოლო სახელმწიფო ობიექტი კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი სანატორიუმი "ბაზალეთია". ის დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს და 200 000 აშშ დოლარად არის შეფასებული.

24 საათი

გამოხმაურება

გაზეთ „24 საათის" რედაქციას

გამოვხატავ რა პატივისცემას თქვენი გაზეთისადმი, რომელიც დამოუკიდებელი მედიის პრინციპების დანერგვისათვის იღვწის, მინდა ხაზი გავუსვა გაზეთის 29 ივნისის ნომერში, ფონდში გამართული პრესკონფერენციისადმი მიძღვნილ რეპორტაჟში არსებულ ერთ უზუსტობას.

რეპორტაჟის ბოლოს საუბარია, რომ გარკვეულ ვითარებაში ფონდი იძულებული გახდება, "გაავლოს პარალელები ამჟამინდელ და შევარდნაძის დროინდელ ხელისუფლებებს შორის, რომელთა მთავარი მახასიათებელი განსხვავებული აზრის მიუღებლობა იქნება". ეს წინადადება არაზუსტად გადმოსცემს პრესკონფერენციაზე ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს. ჩემი მოსაზრება იყო შემდეგი: თუ ფონდთან პერმანენტულად მიმდინარე დესტრუქციული აქცია არ შეწყდა, შესაძლებელი იქნება, გაივლოს პარალელი შევარდნაძის პერიოდთან, როდესაც ხელისუფლება "უძლური" იყო, შეესრულებინა თავისი პირდაპირი მოვალეობა, ანუ შეექმნა სტაბილური ნიადაგი კანონის ფარგლებში აზრისა და საქმიანობის პლურალიზმისათვის. კერძოდ, ანალოგია ჩნდება მ. არჩვაძის ამჟამინდელ და ბ. მკალავიშვილის წარსულ საქმიანობებს შორის. მაშინ ხელისუფლება უმოქმედობას იჩენდა. თუ ასე გაგრძელდა, ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ მსგავსი ინციდენტების თემა ამჟამინდელი ხელისუფლებისათვისაც ნაკლებ საინტერესო ხდება.

მე არ მიმაჩნია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება, როგორც ერთი მთლიანობა, შევარდნაძის ხელისუფლების ანალოგიურია, ან განსხვავებული აზრისადმი ცალსახად მტრულადაა განწყობილი. თუმცა ვთვლი, რომ სახელისუფლებო გუნდი ნამდვილად არაა ერთიანი. მასში არის განსხვავებული დამოკიდებულებები საზოგადოების მიმართ. შესაბამისად, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ხელისუფლების ცალკეულ შტოებსა თუ დონეებზე არიან ადამიანები, ვისთვისაც ძალაუფლება თვითმიზანია და არა საზოგადოებისა და დემოკრატიის სამსახური. სწორედ ამგვარი ადამიანების და მ. არჩვაძის დაჯგუფების, ერთი შეხედვით პარადოქსული თანამშრომლობაა შესაძლებელი. მაგრამ პარადოქსი იხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების თვითმიზნურად ფლობის მოყვარულთათვის სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების დამოუკიდებელი არსებობაა აუტანელი, მ. არჩვაძის დაჯგუფება კი ღიად მტრობს პლურალიზმის, ტოლერანტობის, სამოქალაქო ღირებულებების ნებისმიერ საზოგადოებრივ გამოვლინებას. თუ ერთი მხრივ, ძალაუფლების მოყვარულ ოფიციალურ პირთა და, მეორე მხრივ, ქუჩის ნაცისტთა ურთიერთსწრაფვის ტენდენციებს არაფერი დაუპირისპირდა, დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბება უფრო პრობლემური იქნება, ვიდრე ეს მავანს ახლა მიაჩნია.

რაც შეეხება ფონდს "ღია საზოგადოება – საქართველო", რომელსაც არაოფიციალურად სოროსის ფონდის სახელით იცნობენ, იგი იყო და იქნება ღია, სამოქალაქო საზოგადოების და შესაბამისი ინიციატივების მხარდამჭერი ორგანიზაცია. შესაბამისად, ფონდის მთავარი პარტნიორი რიგითი მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედიაა. ამასთან, ფონდი, შესაძლებლობების ფარგლებში, თანამშრომლობს და მომავალშიც აპირებს ითანამშრომლოს სრულიად სამოქალაქო საზოგადოებრივი სარგებლიანობის ამაღლებას ეხება. ამდენად, ფონდის პრიორიტეტებია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება, კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა, ანტიკორუფციული მექანიზმების ფორმირება, ბიუჯეტის გამჭვირვალობის ამაღლება, თვითმმართველობის გაძლიერება, სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმთა განვითარება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემის ფორმირება და სხვა.

ვთვლი, რომ ეს დაზუსტება საჭიროა, რათა პასუხი გაეცეს ფონდის პოზიციის, ადგილის, როლის შესახებ არსებულ ათასგვარ ინსინუაციებს.

პატივისცემით,

დ. დარჩიაშვილი,
ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი

მოკლედ

რუსეთის საგარეო უწყება ლუჟკოვს ამართლებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ მათ ქართულ მხარეს სამხრეთ ოსეთისთვის ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის შესახებ წინასწარ აცნობეს. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხანდრავამ 25 ივნისს მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ინიციატივით "სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა გააპროტესტა იმ მოტივით, რომ ეს ქმედება ქართულ მხარესთან არ იყო შეთანხმებული. მისი თქმით, „ტვირთის შემადგენლობა ჰუმანიტარულ დანიშნულებას სცილდებოდა".

რუსეთის საგარეო უწყება უარყოფს ინფორმაციას, რომ მოსკოვის მერის ინიციატივით "სამხრეთ ოსეთისთვის" გაგზავნილი ტვირთი სამხედრო დანიშნულების ნივთებსაც შეიცავდა. „მოსკოვის მერიამ ტვირთის გაგზავნის ცერემონიალზე დასასწრებად მოსკოვში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებიც მიიწვია, რათა ტვირთის მშვიდობიან ხასიათში დარწმუნებულიყვნენ, მაგრამ საელჩომ ეს მოწვევა არ გამოიყენა," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. მასში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ საქართველომ და რუსეთმა 2000 წლის 23 დეკემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთქმედებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის რეაბილიტაციისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებში. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის სოციალური რეაბილიტაციის პროგრამას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის, ვიზიტის დასრულებისთანავე შეიმუშავებს. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მიხეილ მაჭავარიანმა ხუთშაბათს რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში უკიდურესად გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დახმარების სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბდება პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიაში, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, გოგა ხაინდრავა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 30 ივნისს ლეიბორისტულმა პარტიამ თბილისის საოლქო სასამართლოში მორიგი სარჩელი შეიტანა. ამჯერად, ლეიბორისტებმა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უჩივლეს და სატელეფონო საუბრებზე წუთობრივი გადასახადის დაწესება გაასაჩივრეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლიახვის ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე კოლეგებს მოუწოდა, სასწრაფოდ დაიწყონ პროცედურები რუსეთის სამშვიდობო ძალების ცხინვალის რეგიონიდან გაყვანის თაობაზე. ვახტანგაშვილის ინიციატივას მხარი "მემარჯვენეებმაც" დაუჭირეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის რეგიონული და თვითმმართველობის კომიტეტისა და აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, გუშინ პარლამენტში გაიმართა ერთდღიანი კონფერენცია თემაზე - "ქართულ-აფხაზური დიალოგი - ახალი რეალობა, ახალი პერსპექტივები". მასში მონაწილეობდა, აგრეთვე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისია, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. კონფერენციის თემაა არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობის პერსპექტივები და როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. **ჯი-ეიჩ-ენი**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის მთავრობა (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ ბათუმში შენობების ფასადების შეღებვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 18 ივლისიდან 2005 წლის 19 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

დ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით);

ე) ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 21 ივლისს წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 25 ივლისიდან 2005 წლის 26 ივლისის 17 საათამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის მთავრობის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ირაკლი ანანიძე ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაშვილი.

თბილისში ტყუპი ცათამბჯენები აშენდება

ვირველი გვერდიდან

ცათამბჯენები 6 000 კვადრატული მეტრის ფართობზე, ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აიგოს. როგორც "აქსისის" პრეზიდენტმა განაცხადა, შენობა დედაქალაქის გამორჩეული სიმბოლო იქნება. მასში, გამაჯანსაღებელ კლუბებთან და გასართობ ცენტრებთან ერთად, ბიზნეს-ორგანიზაციების ოფისებიც განთავსდება. 1 კვადრატული მეტრი საოფისე ფართის თვითღირებულება, დაახლოებით, 1000 დოლარს მიაღწევს.

როგორც ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში აცხადებენ, ოფიციალური განცხადება მათ სამსახურში ჯერ არ შესულა, თუმცა ზეპირი კონსულტაციები კომპანია "აქსისთან" უკვე მიმდინარეობს.

დედაქალაქის მერის ურბანისტულ კონცეფციაში "აქსისის" პროექტი არ ჯდება, მაგრამ იგი მხარს უჭერს ცათამბჯენების იდეას.

"პროექტი პარამეტრებში ჯდება, მაგრამ პრობლემა შეიქმნება სატრანსპორტო სქემისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მხრივ. მას შემდეგ, რაც პროექტს განვიხილავთ, დასკვნასაც გავცემთ," – განაცხადა მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბექა ქარსიძემ. მისივე თქმით, დასკვნის გაცემამდე, არქიტექტურის სამსახური ყველაფერს დეტალურად შეისწავლის. **"გასაგებია საქართველოს პრეზიდენტის დადებითი განწყობა ნოვატორული იდეისადმი, თუმცა კონცეფცია და რეალიზაცია სხვადასხვა რამეა. ამ იდეის რეალიზაციაზე სწორედ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები, ამიტომ ჯერ პროექტის დეტალური განხილვა უნდა მოხდეს,"** – აღნიშნა ქარსიძემ.

რიგგარეშე ვნებათაღელვა პარლამენტში

ვირველი გვერდიდან

სხდომათა დარბაზიდან ოპოზიციის გასვლის შემდეგ, უმრავლესობის წარმომადგენლები გულდასმით უმტკიცებდნენ ერთმანეთს, თუ რა კარგია თბილისის მერის არჩევა საკრებულოს შემადგენლობიდან და როგორ დაზარალდება ქვეყანა ქალაქის თავის პირდაპირი გზით არჩევის შემთხვევაში.

"თბილისის მერის პირდაპირი არჩევა ისეთივე საფრთხეს შეიცავს, როგორსაც, მაგალითად, თავის დროზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტის შემოღება," - არწმუნებდა თანაგუნდელებს "ნაციონალი" ალეკო შალამბერიძე.

"საკრებულოს შემადგენლობიდან მერის არჩევის მოდელი, მინიმუმ, ორი-სამი საარჩევნო ციკლის განმავლობაში წარმატებით იმუშავებს," - შორეულ მომავალზე გაკეთებულ გათვლებს აცნობდა უმრავლესობის ბანაკს ედვარდ სურმანიძე.

სახელისუფლებო ფრაქციის ამაღლებული განწყობა მცირედით დაჩრდილა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" მიერ გაკეთებულმა და სესიის მიმდინარეობისას გახმოვანებულმა დასკვნამ, რომელშიც უარყოფითად არის შეფასებული მერის არაპირდაპირი გზით არჩევა და საკრებულოს არჩევის უმრავლესობისეული სქემა. ამის გასანეიტრალებლად, მიხეილ მაჭავარიანმა და გიგა ბოკერიამ გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული, ევროსაბჭოს ექსპერტთა პოზიციები მოიშველიეს...

საარჩევნო თემატიკა ამოუწურავია: თბილისის მუნიციპალური არჩევნების გარდა, პარლამენტარებს რამდენიმე საარჩევნო ოლქში შემოდგომაზე ჩასატარებელი მაჟორიტარული არჩევნების საკითხიც აღელვებთ. ბათუმისა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით ტექნიკური სირთულე გამოიკვეთა: წინა მოწვევის პარლამენტში აქედან არჩეულ ჯემალ გოგიტიძესა და როსტომ ჯაფარიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეწყვეტილი არა აქვთ, რის გარეშეც ცესკო-ს ახალი არჩევნების დანიშვნა არ შეუძლია.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტს უკვე დაევალა ჯემალ გოგიტიძისა და როსტომ ჯაფარიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე დადგენილების პროექტის მომზადება, თუმცა, მიხეილ მაჭავარიანი არ გამორიცხავს, რომ ყოფილი პარლამენტარები ამჟამინდელი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებას გაასაჩივრებენ.

"თუ ასე მოხდება, ყველანი წამომყვებით სასამართლოში," - არდადეგებზე გაშვების ნაცვლად, მართლმსაჯულების კარზე სიარულის "პერსპექტივით" "ხიბლავს" მიხეილ მაჭავარიანი თანაგუნდელებს.

გუშინდელ სხდომაზე პარლამენტმა "ოტსტუპნიკების" საკითხსაც დაუსვა წერტილი. 103 ხმით 7-ის წინააღმდეგ, საკანონმდებლო ორგანომ ასე განსაჯა: მოსარგებლეები, ვისაც ბინის მესაკუთრეებთან ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული, კომპენსაციის სახით, საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ფასის 90 პროცენტს მიიღებენ, ხელშეკრულების არმქონეები კი - მხოლოდ 75 პროცენტს.

"კონსერვატორების" ლიდერს ფოთში დარბაზი არ დაუთმეს

ვირველი გვერდიდან

მოსახლეობის ინტერესი არ გამოიწვია. როცა ხელისუფლება ასეთი მეთოდებით ურთიერთობს ოპოზიციასთან, მას თავადვე გამოაქვს საკუთარი თავისთვის განაჩენი."

შეხვედრაზე დამსწრეთა უმეტესობას ის ადამიანები წარმოადგენდნენ, ვინც ფოთში მთავრობის შეცვლასთან ერთად სახელისუფლებო სავარძელიც დაკარგა და საკუთარი პერსონის რეაბილიტაციას ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობით ცდილობს. კონსერვატორების სახელი ბევრი მოქალაქისთვის დაკარგულ ანაბრებთან ასოცირდება, ეს კატეგორია დავითაშვილს აჟიტირებულ თემაზე კიდევ ერთხელ საუბრის მოლოდინით შეხვდა. დარბაზში მყოფთაგან არც თუ ცოტას ნებისმიერ ღონისძიებაზე დასწრება უბრალოდ წესად ექცა. თუ კონსერვატორული პარტიის წევრებსა და ფოთელ ჟურნალისტთა საკმაოდ დიდ კორპუსსაც ჩავთვლით, კინოთეატრის არაკომფორტულ დარბაზში ცარიელი ადგილი ნამდვილად არ იყო და არც პარტიის ლიდერი განიცდიდა აუდიტორიის სიმცირეს.

"შეხვედრის მიზანია იმ პოლიტიკური სკლეროზის განკურნება, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას დაემართა. ის გულუხვი იყო არჩევნებამდე, არჩევნების შემდეგ კი გულმავიწყი გახდა. რევოლუცია ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის გვინდოდა და არა იმისთვის, რომ სააკაშვილს მონტეკარლოში დაესვენა," - თქვა დავითაშვილმა. არსენა მარაბდელთან შედარებით "მთავარმა კონსერვატორმა" ეჭვქვეშ დააყენა არა მარტო დღევანდელი ხელისუფლების, არამედ ცნობილი ლიტერატურული გმირის ნამოღვაწარიც: "ნაწარმოებში არსენას მიერ ღარიბებისთვის დარიგებული ქონების მაგალითი არსადაა ნახსენები. იგი მესტვირეებს აპურ-მარილებდა და პიარს იკეთებდა, 700 თუმანი კი კლდეში ჰქონდა გადამალული. ანალოგიურად იქცევა მთავრობაც. ჩინოვნიკებისთვის წართმეული მილიონები კი შავ ფონდებში ილექება," - ასეთია მარაბდელის გარეშიქსებული პოლიტიკის "კონსერვატორული ვარიანტი".

პენსიების გაცემა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ანაბრებზე რიცხული თანხების დაბრუნება, მცირე მეწარმეების ორი წლით გადასახადებისგან გათავისუფლება, მერებისა და გამგებლების არჩევითობა - კონსერვატორების ძირითადი მოთხოვნებია.

გადარჩენის გზად დავითაშვილი ხალხის ერთიანობას მიიჩნევს. "ხელისუფლებას არ ეშინია სასამართლოს, პროკურატურის, არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის. მას ერთადერთი ხალხის ერთიანობის შიში და რიდი აქვს. გაყინული პენსიების დარიგებასთან დაკავშირებული გამოცდილება მაძლევს მორალურ უფლებას, რომ ხალხს თანადგომისკენ მოვუწოდო," -განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დავითაშვილმა. მან შეხვედრის მონაწილეებს კონკრეტული მოქმედებისკენ მოუწოდა. ფოთის ოფისში მეანაბრეთა ხელმოწერების შეგროვებისას ხალხმრავლობა, პარლამენტში საკითხის განხილვის დღეს შენობის წინ ათი ათასობით მომიტინგე, მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტი - ასეთია დავითაშვილისეული სტრატეგია.

უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტი საქართველოში

ვირველი გვერდიდან

უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს საქართველოში ვიზიტი 15 ივლისისთვის იგეგმება. მანამდე კი, თბილისს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი სტუმრობს.

ტარასიუკი გუშინ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. როგორც მან შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოსა და უკრაინას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ და უკრაინის ახლანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდეს. **"ვარდების რევოლუციამ საქართველოში და ნარინჯისფერმა რევოლუციამ უკრაინაში ევროპის ლანდშაფტი მთლიანად შეცვალა. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ დემოკრატიის განვითარება ყოფილ საბჭოთა კავშირშიც შესაძლებელია,"** – განაცხადა ტარასიუკმა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით კი, ორი ქვეყნის პირველი პირები რეგიონში დემოკრატიული წყობის განმტკიცებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ინიციატივებს ამზადებენ. **"უნდა შემუშავდეს ქმედითი მექანიზმები, რომ რეგიონული თანამშრომლობა ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდეს,"** – თქვა მან.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრებს გამართავს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან სალომე ზურაბიშვილთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან.

24 საათი

"არარევოლუციური" ცვლილებები მთავრობის ეკონომიკურ ბლოკში

ვირველი გვერდიდან

"ალექსიშვილი ჩემი მეგობარი და ჩემი მარჯვენა ხელია. ფინანსთა სამინისტროში მე მასთან ერთად ვმუშაობდი," - განაცხადა ნოღაიდელმა.

რაც შეეხება ირაკლი ჩოგოვაძეს, იგი დღემდე საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობდა და მას ბენდუქიძის კადრად მოიაზრებდნენ.

"იგი უშუალოდ იყო ჩართული პრივატიზაციის პროცესში. ამიტომ, ვთვლი, რომ ირაკლი ჩოგოვაძეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაძღოლა არ გაუჭირდება," - ასეთი იყო პრემიერის არგუმენტი. ეს არგუმენტი ნიშნავს, რომ ეკონომიკის სამინისტროში, მისი უამრავი ფუნქციიდან, წამყვანი კვლავ პრივატიზაციის ფუნქცია იქნება.

ზურაბ ნოღაიდელმა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს ახალი მინისტრი გუშინ საღამოს წარუდგინა, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელს დღეს წარადგენს. ირაკლი ჩოგოვაძე გუშინ თურქეთში იმყოფებოდა და თბილისში საღამოს დაბრუნდა.

EMERGING MARKETS GROUP

An independent firm associated with Deloitte Touche Tohmatsu

Emerging Markets Group, Ltd.
Suite 900 West

1001 G Street NW
Washington, DC 20001-4549
USA
Tel: +1.202.572-7000
Fax: +1.202.572-7001
www.emergingmarketsgroup.com

Private & Pubic Sector Experts

Emerging Markets Group (EMG), an independent firm associated with Deloitte Touche Tohmatsu, is currently seeking a variety of long-term candidates for upcoming USAID projects in Georgia.

We are seeking long-term technical advisors with expertise in some or all of the following functional areas:

- Banking
- SME Finance
- Agriculture finance
- Microfinance
- Financial institution training
- Commercial law
- Public sector management
- Tax and customs
- Business and property registration
- Licenses and permits
- Agricultural privatization
- Association development
- Information technology
- Economics
- Project management

Additional Requirements for Experts:

- Demonstrated project management, leadership, and technical skills.
- Ability to liaise and build strong relationships with senior government officials, donor representatives, business and community leaders.
- Excellent communication skills and ability to facilitate dialogue across multiple sectors and stakeholders.
- Master's degree is desirable.
- Fluency in English.
- Knowledge of MS Office (Word, Excel, PowerPoint).

To Apply:
Please submit your CV
to recruitment@emergingmarketsgroup.com.
Please enter 'Georgia/Local Positions' in the subject line.

EMG is an equal opportunity employer.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს კანონის "წიაღის შესახებ" მე-17 მუხლის შესაბამისად წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად:

- მცხეთის რ-ში, სოფ. მუხრან-ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადოს დამუშავების მიზნით;
- ბორჯომის რ-ში არდაგნის დასახლებაში სტალინის ქ. N71-ში მიწისქვეშა მტკნარი წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში ქსნის (მუხრანის) ქვიშა-ხრეშის საბადოს დამუშავების მიზნით;
- კასპის რ-ში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდ. კოწახურის შესართავთან ქვისა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მარნეულის რ-ში "რუსთავის" გაჯის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში მდ. მტკვრის კალაპოტში დირმის ყოფილი სასწავლო მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- წალკის რ-ში სოფ. ხადიკის სამხრეთით ვულკანური წიდის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ყვარლის რ-ში შაქრიანის (ალაზნის) უბნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- თელავის და ყვარლის რაიონებში შაქრიანის (ალაზნის) II უბნის, კირის-ხევის I უბნის და შალაურის-ხევის ქვიშა-ხრეშის გამოვლინებების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- თელავის რ-ში კისის-ხევის ქვიშა-ხრეშის საბადოს II უბნის დამუშავების მიზნით;
- ბორჯომის რ-ში სადგერი-საკოჭაოს მონაკვეთზე დაბის N2 და 3 წყაროებზე და N1 საპროექტო ჭაბურღილზე (სოფ. ტბა) მტკნარი მიწისქვეშა წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- დედოფლისწყაროს საკრებულოს ტერიტორიაზე "ციცაბო მთის" კირქვების საბადოს (I უბანი - 15 ჰა) დამუშავების მიზნით;
- დედოფლისწყაროს საკრებულოს ტერიტორიაზე "ციცაბო მთის" კირქვის საბადოს (II უბნის - 24 ფა ფართით) დამუშავების მიზნით;
- საჩხერის რ-ში სოფ. ბაჯითის ტერიტორიაზე კვარციანი ქვიშების გამოვლინების დამუშავების მიზნით;
- დუშეთის რ-ში ანანურის პავლეურის უბნის ქვიშა-ხრეშის საბადოს მოპოვების მიზნით;
- კასპის რ-ში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. კავთისხევთან დამაკავშირებელი ხიდის ქვემოთ ქვისა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ხობის რ-ნის სოფ. ნოჯიხევში საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- სენაკის რ-ში, სოფ. ნოსირში და ძველ სენაკში მდ. ტეხურის ფილტრატებიდან სასმელი წყლის მოპოვების მიზნით;
- ტყიბულის რ-ნის ჯვარისის კაოლინური თიხების საბადოს ოჯოლის და სხუნათის უბნებზე კაოლინური თიხის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში ძეგვის (ხეკორძულას) მერგელოვანი კირქვის საბადოს შესწავლა-მოპოვების მიზნით.
- ყაზბეგის რ-ში თრუსოს ხეობაში განლაგებული N1,2,3 და 4 მინერალური წყლების საბადოებიდან თანმხვედრი ნახშირორჟანგა გაზის (CO2-ს) შესწავლა-მოპოვების მიზნით.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

წიაღით სარგებლობის სახე და პარამეტრები;

- განმცხადებელი საწარმოს მისამართი, მისი სამეურნეო ურთიერთობები საწარმოო და საფინანსო პარტნიორებთან;

მონაცემები განმცხადებელი საწარმოს ხელმძღვანელის ან მფლობელის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ საწარმოს ლიცენზიის მიღებისას;

- განმცხადებელი საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი;

განმცხადებელი საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ საწარმოების შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდული არიან როგორც მენარდეები;

- ინფორმაცია განმცხადებელი საწარმოს განვლილი საქმიანობის შესახებ, იმ სახელმწიფოთა სიის ჩამონათვალით, სადაც იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქმიანობდა;

განმცხადებელი საწარმოს წინადადებანი წიაღით სარგებლობის პირობების შესახებ

- წიაღის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები;

საერთო ცნობები მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის ტერიტორიის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი, განაშენიანება, სასოფლო სამეურნეო და ტყის სავარგულების დახასიათება და სხვა), მოკლე გეოლოგიური დახასიათება;

- მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა წიაღით სარგებლობისათვის მიწათსარგებლობის პირობების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულ პირზე ლიცენზია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადებით.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2005 წლის 15 ივლისამდე. კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისამართი: დ.გულუას 6ა, მეორე სართული, N213 ოთახი. ტელ: 72-17-48

ორი სიტყვით

ლიბანი. ხუთშაბათს ლიბანის პრეზიდენტმა ემილ ლაჰუდმა ახალი მთავრობის ხელმძღვანელობა ქვეყნის ყოფილ ფინანსთა მინისტრს, მოკლული პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის თანამებრძოლს, ფუად სინიორას დაავალა. მანამდე, მკვეთრი ანტისირიული ორიენტაციით ცნობილი სინიორას კანდიდატურა ლიბანის პარლამენტმა მოიწონა. პრემიერ-მინისტრად მის დანიშვნას 128-წევრიან პარლამენტში, 126-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ეს პირველი მთავრობა იქნება 30 წლის მანძილზე, რომელიც ქვეყნის მართვას სირიის ჯარების გარეშე შეუდგება. **როიტერი**

■ ■ ■

ყირგიზეთი. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ყირგიზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ბერმეტ აკაევასთვის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევის შესახებ. მანამდე იგივე გადაწყვეტილება გამოიტანა პირველადმა სასამართლო ინსტანციამ.

ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილმა ბერმეტ აკაევამ მარტში ჩატარებულ არჩევნებზე მოიპოვა გამარჯვება, თუმცა, შემდგომში ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შედეგად, მას სადეპუტატო უფლებამოსილებას განხორციელება აღარ დასცალდა. მამის რუსეთში გაქცევიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი გამოჩნდა ახლად არჩეული პარლამენტის სხდომაზე, მაგრამ სახალხო პროტესტის გამო მალევე მოუწია მისი დატოვება. მოგვიანებით, განდევნილი პრეზიდენტის ქალიშვილს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის (საერთაშორისო დამკვირვებლებმა აკაევას სარჩევნო ოლქში მრავალრიცხოვანი დარღვევები დააფიქსირეს) ცესკო-მ საერთოდ შეუწყვიტა უფლებამოსილება. **24 საათი**

■ ■ ■

ინდონეზია. გუშინ ჯაკარტაში სამგზავრო მატარებლების შეჯახების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და 84 დაშავდა. პოლიციის ცნობით, მგზავრებით სავსე მატარებელი სადგურზე გაჩერებულ მეორე სარკინიგზო შემადგენლობას შეეჯახა, რამაც რამდენიმე ვაგონის ლიანდაგიდან გადასვლა გამოიწვია. **როიტერსი**

■ ■ ■

ერაყი. გუშინ ერაყის ქალაქ სამავაში იაპონიის სამხედრო მოსამსახურეთა ბაზასთან აფეთქება მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა. მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ამჟამად ერაყში სამშვიდობო მისიით 500-მდე იაპონელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. იაპონური კონტინგენტი ერაყს, სავარაუდოდ, საბოლოოდ წლის ბოლოს დატოვებს. **ინტერპრესნიუსი**

რუსეთისა და ჩინეთის საერთო ხედვა ახალ მსოფლიო წესრიგზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჰუ ძინტაო გუშინ რუსეთს ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. რუსეთში ყოფნისას, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის გარდა, ჰუ ძინტაო რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ ფრადკოვს, რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელებს შეხვდება.

კრემლში აღნიშნავენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ვიზიტი ახალ ისტორიულ ფონზე წარიმართება. ოფიციალური ინფორმაციით, ორი ქვეყნის მეთაური განიხილავს ორმხრივი თანამშრომლობის, მათ შორის რეგიონთაშორისი ურთიერთობების გაღრმავების საკითხს. გარდა ამისა, ლიდერები იმსჯელებენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის ცენტრალურ აზიაში) სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების პრობლემებზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ვიზიტი რუსეთში ახალ ისტორიულ ფონზე წარიმართება.

ჰუ ძინტაოს "ისტორიული" ვიზიტის მთავარი მოვლენა რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების მიერ 21-ე საუკუნის საერთაშორისო წესრიგის შესახებ ერთობლივ დეკლარაციაზე ხელმოწერა იქნება. **"ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც ასახავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე რუსეთისა და ჩინეთის ძირითად შეხედულებათა დამთხვევას, კაცობრიობის განვითარების პერსპექტივებზე ჩვენს საერთო ხედვას,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვლევმა.

ვიზიტის ფარგლებში ჩინეთის პრეზიდენტი ნოვოსიბირსკის რეგიონსაც მოინახულებს.

რუსეთიდან ჰუ ძინტაო ყაზახეთში გაემგზავრება, სადაც 5 ივლისს "შანხაის შეთანხმების ორგანიზაციის" სამიტის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. "შანხაის ხუთეულის" სამიტზე ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სახელმწიფო მეთაურები თითქმის ყველა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს განიხილავენ, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ამავდროულად, გლობალურ პრობლემებზეც ექნებათ საუბარი.

მომავალ კვირას ჰუ ძინტაო უკვე შოტლანდიაში "დიდი რვიანის" სამიტზე გაემგზავრება, რომელშიც მსოფლიოს რვა უდიდეს ინდუსტრიულ ქვეყანასთან ერთად ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. გლინიგლის სამიტზე მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა აქტუალური პრობლემის განხილვაა დაგეგმილი, მათ შორის აფრიკის უღარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ეკოლოგიური პრობლემები, ტერორიზმთან ბრძოლა და ა.შ.

საერთაშორისო თერმობირთვული ექსპერიმენტული რეაქტორი კადარაშში

საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კადარაშში საერთაშორისო თერმობირთვული ექსპერიმენტული რეაქტორის "იტერ"-ის ამოქმედების იდეას ოცწლიანი ისტორია აქვს. "იტერ"-ის პროექტის ინიციატორი საბჭოთა კავშირი იყო, რომელმაც 1985 წლის ნოემბერში ჟენევის შეხვედრაზე საფრანგეთს "ტოკამაკ"-ის (ტოროიდალური მაგნიტური კამერის) ახალი თაობის შექმნა შესთავაზა. თერმობირთვული რეაქციის შესწავლაზე უნდა ემუშავათ საბჭოთა კავშირს, აშშ-ს, ევროკავშირსა და იაპონიას. ერთი წლის შემდეგ პროექტზე მუშაობა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით ოფიციალურად დაიწყო და მას კანადაც შეუერთდა.

1989 წლის ბოლოს, როდესაც დეტალური ინჟინერიის სტადია დასრულდა, აშშ-მ პროექტის დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება. ამის მიუხედავად, სხვა მხარეებმა პროექტზე მუშაობის გაგრძელება გადაწყვიტეს, თუმცა მათ სავარაუდო ხარჯების შემცირებაც მოუხდათ.

"იტერ"-ის ახალი ვერსიის ტექნიკური შემუშავება 2001 წლის ივლისში დასრულდა, რის შემდეგაც ჯერი რეაქტორის ადგილმდებარეობის, აღჭურვის პროცესსა და მისი ერთობლივი გამოყენების საკითხებზე მიდგა.

უკვე 2003 წლის იანვარში აშშ-მ პროექტში დაბრუნება გადაწყვიტა. ცოტა ხანში პროექტს ჩინეთიც შეუერთდა. ამჟამად პროექტში ჩართული არიან: ევროკავშირი, რუსეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, აშშ და ჩინეთი.

რაც შეეხება რეაქტორისათვის ადგილმდებარეობის კადარაშში შერჩევას, პროექტის დაწყებისთანავე გასამართლებელი არგუმენტი საფრანგეთის სწორედ ამ რაიონში სამეცნიერო ცენტრის არსებობა იყო, რომელსაც უკვე ჰქონდა თერმობირთვული რეაქციის სფეროში მუშაობის საკმაო გამოცდილება. გარდა ამისა, ევროკავშირის მტკიცებით, კადარაში მოხერხებული იყო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისითაც.

თერმობირთვული რეაქტორის კადარაშში განთავსების შესახებ სახელოო შეთანხმება მიმდინარე წლის 28 ივნისს იქნა მიღწეული. ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საფრანგეთში. თუ შეთანხმების შედეგებით კმაყოფილნი არიან ხელისუფლებაში, იგივეს თქმა რთულია ეკოლოგიურ ორგანიზაციებზე, რომელთაც პროექტიდან მომდინარე შესაძლო საფრთხე და მისი მაღალი ღირებულება აშფოთებთ.

"ეს დიდი წარმატებაა როგორც საფრანგეთისათვის, ასევე ევროპისათვის და ყველა იმ პარტნიორისათვის, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობენ," - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა.

"იტერ"-ს "საკმაოდ ამბიციური სამეცნიერო პროექტი" უწოდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა. მისი თქმით, ეს პროექტი იძლევა საშუალებას, მომავალში გამომუშავებული იქნეს ენერგია კლიმატზე ზემოქმედების გარეშე და იმავდროულად, ბუნებრივი რესურსების დაზოგვის ხარჯზე. გარდა ამისა, ფრანგული მხარის კმაყოფილებას ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებიც ხსნის.

"პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში იქმნება 4 000 სამუშაო ადგილი, რაც თავის მხრივ, კვლევითი პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს," - აღნიშნა მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა.

უშუალოდ რეაქტორის მშენებლობის დროს, რაც 2005-2015 წლებზეა გათვლილი, იქმნება დამატებით 2 400 სამუშაო ადგილი. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციის დაწყებას, რომელიც 2035 წლისათვის იგეგმება, უკვე შესაძლებელი იქნება 3 000-ზე მეტი კაცის დასაქმება.

გარდა ამისა, რეგიონის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ინვესტიციები, რომელთა საერთო მოცულობა დაახლოებით 10 მილიარდი ევროთი განისაზღვრება, წაადგება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასაც, კერძოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროს დახვეწას.

ხელისუფლების ენთუზიამზს არ იზიარებენ, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ეკოლოგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ამ პროექტის ამოქმედების შემთხვევაში სასიკეთო პერსპექტივას ვერ ხედავენ. მათი თქმით, გარდა იმისა, რომ კადარაში სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს, ეეჭვებათ, რომ 100 ან თუნდაც 150 წლის განმავლობაში "იტერ"-მა ელექტროენერგიის გამომუშავება შეძლოს.

რასაკვირველია, ეკოლოგიის დამცველი ორგანიზაციების მხარე დაიკავეს რეგიონულ საბჭოში მყოფმა "მწვანეთა" პარტიის წარმომადგენლებმაც. მათ მოსახლეობას მოუწოდეს, 3 ივლისს გამართონ კადარაშში რეაქტორის მშენებლობის საპროტესტო აქცია.

რაც შეეხება პროექტის ღირებულებას და მასში სხვადასხვა მხარის შენატანს, სურათი ასეთია: რეაქტორის პროექტის საერთო ღირებულება 13 მილიარდი აშშ დოლარით ფასდება. პროექტში მონაწილე მხარეების ერთობლივი განცხადების თანახმად, საფრანგეთი დააფინანსებს საერთო ღირებულების 50 პროცენტს, იაპონია – 10 პროცენტს, ჯერჯერობით უცნობია, როგორი პროცენტული მაჩვენებლით ნაწილდება სხვა ქვეყნებზე მონაწილეობის საფასური.

""იტერ"-ის პროექტში მონაწილეობა რუსეთს საშუალებას მისცემს, განავითაროს სამეცნიერო-ტექნიკური სფერო და გაზარდოს საწარმოო მასშტაბები. გარდა ამისა, შეიქმნება სამუშაო ადგილები რუსი ფიზიკოს-თეორეტიკოსებისთვის," - თქვა "როსატომ"-ის ხელმძღვანელმა ალექსანდრ რუმიანცევმა.

რუსული მხარის განცხადებით, მშენებლობის დასრულებას 7 წელი მაინც დასჭირდება.

კონკრეტულ თანხებზე ხელშეკრულების ხელმოწერა 2005 წლის ბოლოსათვის იგეგმება.

24 საათი

GG&MW მოქმედების არეალს აფართოებს

საქმიანობის ძირითადი მიმართულება - ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, მსოფლიო ბაზარზე სრული და წარმატებული ინტეგრირება. მართვის წესი - საუკეთესო საერთაშორისო მენეჯმენტი. პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 26 ქვეყანაში. ეს მხოლოდ რამოდენიმე მონაცემი გახლავთ "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" შესახებ, რომელიც დღეისათვის, მისი დაარსებიდან 10 წლის შემდეგ, ინტერნაციონალური, ან უფრო ზუსტად, ტრანსნაციონალური ჰოლდინგი გახლავთ. მასში, საქართველოში ყველასათვის კარგად ცნობილი "ბორჯომის" გარდა, გაერთიანებულია ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორიცაა "მირგოროდსკაია" და "მორშინსკაია". კიდევ, ერთი გარემოება - ასეთი რანგის კომპანიების არსებობა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მით უმეტეს საქართველოსათვის, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. "24 საათის" შეკითხვებს პასუხობს ზაზა კიკვაძე - კომპანიის საქართველოს ფილიალის გენერალური დირექტორი.

ნინო ნარჩემაშვილი

*მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ჩვენი რესპონდენტის შესახებ: დაიბადა თბილისში, 1965 წელს. 1989 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროში. გაიარა საბაზრო ეკონომიკის სწავლების კურსი კონექტიკუტის უნივერსიტეტში. 1995-1996 წლებში კითხულობდა ეკონომიკის კურსს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1997 წელს **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში"** დაიწყო მოღვაწეობა სატრანსპორტო დეპარტამენტის მენეჯერის თანამდებობაზე. 1998 წელს დაინიშნა ხაშურის მინის ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე. 2000-2005 წლებში - ბორჯომის N1 და N2 ჩამომსხმელი ქარხნებისა და ხაშურის მინის ქარხნის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის 25.02.05 N1 გადაწყვეტილებით, 2004 წელს აგროსამრეწველო დარგში მიღწეული შემოქმედებითი წარმატებებისათვის **ზაზა კიკვაძეს** მიენიჭა "წლის ინჟინრის" საპატიო წოდება. 2005 წლის 23 მარტს, **ზაზა კიკვაძე** დაინიშნა **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის"** საქართველოს ფილიალის გენერალურ დირექტორად.*

- როგორ დაიწყო მოღვაწეობა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ"?

- მიმდინარე წლის სექტემბერში კომპანია დაარსების 10 წლისთავს აღნიშნავს. თავდაპირველად, როცა კომპანიამ მოღვაწეობა დაიწყო, წელიწადში მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი იწარმოებოდა. მიმდინარე წელს კი 200 მილიონ ბოთლზე მეტის წარმოებით დავასრულებთ. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია.

10 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული - გადიარაღდა ქარხნები და დანერგილია თანამედროვე ტექნოლოგიები, განხორციელდა საერთაშორისო სერტიფიცირება, რაც იმას იშნავს, რომ **"ბორჯომი"** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იწარმოება და მას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გზა ხსნილი აქვს. სერიოზული შენატანები ხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ რაიონულ ბიუჯეტში. კომპანიის კუთვნილ ქარხნებში ანუ წარმოებაში დასაქმებულია 700 ადამიანი, რომლებიც მთლიანად ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ და მათ საკმაოდ სოლიდური ანაზღაურება აქვთ. რა თქმა უნდა, ეტაპობრივად ხდება მათი გადამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების ასათვისებლად და ამ მიზნით ბორჯომში უცხოელი სპეციალისტები ჩამოდიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორც წესი, ნაკლები მუშახელი სჭირდება, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს თანამშრომლები. ვიტყვი იმასაც, რომ გასულ წელს განხორციელებული ტექნოლოგიური გადაიარაღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თანამშრომლების გარკვეული რაოდენობა დაუსაქმებელი რჩებოდა. ამ შემთხვევაში მოინახა გამოსავალი - იმ თანამშრომლებს, რომლებსაც საპენსიო ასაკი დიდი ხნის დამდგარი ჰქონდათ, ანუ 70 წელს გადაცილებული იყვნენ, კომპანიამ სერიოზული კომპენსაცია გადასცა და თანამშრომლებიც დამსახურებულ პენსიაზე კმაყოფილი წავიდნენ.

- ალბათ იყო პრობლემებიც ...

- პრობლემები, რა თქმა უნდა, იყო. დავიწყოთ ჩვენი კომპანიის ბორჯომის რესურსების სარგებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობით. ჩვენმა კომპანიამ ტენდერში გაიმარჯვა. კონკურსში ჩვენს წარმატებას საფუძვლად დაედო ის უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენმა კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო **"ბორჯომი"**-ს ისტორიულად ჩამომსხმელ N1 და N2 ქარხნების რესტრუქტურიზაციაზე, მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა-გადაიარაღებაზე, ამ ქარხნებში წინა პერიოდში დაგროვილი რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ვალის გასტუმრებასა და ბორჯომის რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაზე.

სამწუხაროდ, საქართველოს წინა მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა "წიაღის შესახებ" კანონთან, საშუალება მისცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ჩვენი კომპანიის ლიცენზიის პარალელურად, გაეცა კიდევ 15 ლიცენზია სხვადასხვა ჩამომსხმელ კომპანიებზე, რომელთაც არავითარი ვალდებულება არ აუღიათ.

როგორც ადგილობრივ, ასევე ტრადიციულ ბაზრებზე გამოჩნდა რამდენიმე სხვადასხვა მეწარმის მიერ ნაწარმოები **"ბორჯომი"**, რამაც გამოიწვია მომხმარებლის სერიოზული დაბნევა და მისი არჩევნის გაკეთება ჩვენი კონკურენტი ბრენდების სასარგებლოდ. დღეს, ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ **"ბორჯომი"**-ს ბრენდის წარმოება ხდება ერთი მწარმოებლის სრული გარანტიისა და პასუხისმგებლობის ქვეშ. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ საერთაშორისო ბაზარზე მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, მომხმარებელი საკუთარ არჩევანს ბორჯომის პროდუქციის სასარგებლოდ აკეთებს.

მნიშვნელოვანი პრობლემა იყო აგრეთვე ფალსიფიკაცია, რომელიც კომპანიას არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა იმ ტრადიციულ ბაზარზე ექმნებოდა, სადაც **"ბორჯომი"**-ს რეალიზაცია ხორციელდებოდა. საბედნიეროდ, დაიგეგმა და სისრულეში მოყვანილ იქნა მრავალი ღონისძიება, რის შედეგადაც, ფალსიფიკაციის დონემ მნიშვნელოვნად იკლო. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის კონსტრუქციული მიდგომა და საღი აზროვნება, რომელიც მოცემულ საკითხთან მიმართებაში საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას გააჩნია. კერძოდ, ამ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება უკანონო საწარმოთა დახურვა, სადაც კუსტარული წესით ხდებოდა ეგრეთ წოდებული **"ბორჯომი"**-ს ჩამოსხმა, გაყიდვის ნებები, ასევე ხაშურის მინის ქარხანა. აქვე უნდა დავძინო, რომ შარშან, ჩვენი კომპანიის შემადგენლობაში შემოვიდა კომპანია **"ML"**. მის მიერ წარმოებული პროდუქცია კარგად არის წარმოდგენილი მოსკოვისა და პეტერბურგის სარესტორნო ქსელში. ამრიგად, ერთი მხრივ, მოხდა ურთიერთსასარგებლო გაერთიანება, მეორე მხრივ კი, გაფართოვდა ჩვენი კომპანიის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის ასორტიმენტი. დღეისათვის, სამომხმარებლო ბაზარზე კომპანია **"ML"**-ს მიერ გამოშვებული პროდუქცია **GG&MW**-ს ეგიდით არის წარმოდგენილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **"ბორჯომი"**-ს ბრენდის წარმოება ერთი კომპანიის პასუხისმგებლობის ქვეშ ხდება.

- რა არის კომპანიის ძირითადი სტრატეგია?

- ბორჯომის რესურსის მთლიანად ათვისება, ადამიანების დასაქმება და შესაბამისად მათი მატერიალური თუ ფინანსური პირობების გაუმჯობესება, ბორჯომის რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ძირითადი და გლობალური სტრატეგია კი ბორჯომის" ბრენდის განვითარება და მისი დაბრუნება ტრადიციულ ბაზრებზე, რასაც დღევანდელ ეტაპზე კომპანიამ უკვე მიაღწია - მთლიანად ვითვისებთ "ბორჯომის" იმ რესურსს, რაც ბუნებაში მოიპოვება.

- "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მიერ ნაწარმოები "ბორჯომი"-ს ბოთლში ასხია ქართული მინერალური ან წყაროს წყალი ბორჯომის ხეობიდან. რაც შეეხება პროდუქციის დანარჩენ კომპონენტებს (ბოთლი, საცობი, ეტიკეტი და სხვა), კიდევ რა არის ქართული?

- ამ საკითხთან დაკავშირებით, კომპანიის პოზიცია კვლეთრად და ცალსახად არის დაფიქსირებული - რა თქმა უნდა, უპირატესობას ვანიჭებთ ქართულ კომპანიებს. ოღონდ იმ კომპანიებს, რომლებიც ხარისხიან დამხმარე მასალებს შემოგვთავაზებენ. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს იმ ფაქტორს, რომ ბორჯომის პროდუქციის ძირითადი მაკომპლექტებელის 80 პროცენტი სწორედ ქართული გახლავთ.

- "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" შექმნა ჰოლდინგი. ვინ არის ამ ჰოლდინგში გაერთიანებული და რა შეიცვალა ამ გაერთიანებით?

- მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ჰოლდინგის შექმნამ ჩვენი კომპანიის პოზიციები სერიოზულად განამტკიცა. გასული წლის მიწურულს, ჩვენი ჰოლდინგის შემადგენლობაში შემოვიდა ორი ცნობილი უკრაინული კომპანია - მირგოროდის მინერალური წყლების ქარხანა, რომელიც უკრაინის წყლის ბაზრის 19%-დე აკონტროლებს და მორშინის მინერალური წყლების ქარხანა, რომელიც ლიდერია დასავლეთ უკრაინაში. ჯამში, ეს ორი კომპანია უკრაინის წყლის ბაზრის 25%-ზე მეტს აკონტროლებს. დღევანდელი ჰოლდინგი **GG&MW / IDS,** გარდა საქართველოში კარგად ცნობილი პროდუქციისა, აწარმოებს ისეთ ბრენდებსაც, როგორიცაა **"მირგოროდსკაია"** და **"მორშინსკაია"**.

- რა შეცვალა კომპანიის მართვაში კონსოლიდაციამ?

- კომპანიის მართვაში არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ჰოლდინგი გახდა ინტერნაციონალური, საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანია. ჩვენ საშუალება მოგვეცა, შევსულიყავით **"მირგოროდსკაია"** და **"მორშინსკაია"**-ს სადისტრიბუციო ქსელებში, რომლებიც საკმაოდ განვითარებულია.

გაერთიანების შედეგად ჰოლდინგის პროდუქცია ბაზრის ყველა სეგმენტშია წარმოდგენილი და **"ბორჯომი"** ელიტარული წყლების კატეგორიაში შედის.

- როგორია "ბორჯომის" გაყიდვების თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე?

- ბორჯომის პროდუქციის 20 პროცენტი წარმოდგენილია ადგილობრივ, ქართულ ბაზარზე, 80 პროცენტი კი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იყიდება. ეს მაჩვენებელი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი. გაყიდვები თვეების მიხედვით იგეგმება - რომელ ქვეყანაში რა რაოდენობის პროდუქცია უნდა გაიყიდოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ხდება ისე, რომ მოთხოვნა და შესაბამისად რეალიზაციაც დაგეგმილზე მეტია. მაგალითად, მიმდინარე წელს წინასწარ დაგეგმილთან შედარებით 25 პროცენტით მეტი პროდუქცია იყიდება.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ სრულად ითვისებთ "ბორჯომის" მინერალური წყლის რესურსს. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ბორჯომის ხეობის წყაროს წყალსაც ასხამს. რა მასშტაბებს აღწევს მისი წარმოება ამ ეტაპზე?

- წყაროს წყალი შემდეგი სტრატეგიული ამოცანაა. ამასთან დაკავშირებით მომავალი წლიდან სერიოზული ღონისძიებები იგეგმება. ეს საშუალებას მოგვცემს, ჩვენი კომპანიის მოღვაწეობის მასშტაბები და მისი საექსპორტო პოტენციალი კიდევ უფრო გავზარდოთ, რაც უდავოდ მთელი ქვეყნისთვის იქნება სასიკეთო.

გენერალური პროკურატურა საპყრობილეში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას აბრძელებს

გენერალური პროკურატურა აგრძელებს ორი კვირის წინ N7 საპყრობილეში მართლმსაჯულების ომბუდსმენს გიორგი ონიანსა და საპყრობილის ადმინისტრაციას შორის მომხდარი კონფლიქტის გამოძიებას.

გენერალურმა პროკურატურამ საქმის მოკვლევა ინციდენტისთანავე დაიწყო, საქმეც აღძრა და ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააპატიმრა საპყრობილის დირექტორის მოადგილე დავით ვარდოსანიძე. თბილისის სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლოს მიერ ვარდოსანიძისთვის გამოტანილი გადაწყვეტილება სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შესახებ, რომელიც ადვოკატმა გაასაჩივრა, ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომაც.

რაც შეეხება N7 საპყრობილის დირექტორს გელა კიკლიაშვილს, რომლის პასუხისგებაში მიცემასაც არასამთავრობო ორგანიზაციები და თავად გიორგი ონიანიც ითხოვდა, გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქმეში არსებობს კიკილაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობა, რომელის მიხედვითაც, გელა კიკილაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა მისი დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საშუალებას, რადგან არსებობს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საშიშროება.

შეგახსენებთ, რომ ომბუდსმენის წარმომადგენელი გიორგი ონიანი საპყრობილეში პატიმართა მოთხოვნით შევიდა. გიორგი ონიანის განცხადებით, ციხის ადმინისტრაციამ, კონკრეტულად, საპყრობილის უფროსმა გელა კიკილაშვილმა, მას საპყრობილეში გადაღებული ვიდეომასალის დატოვება მოსთხოვა, რაზეც გიორგი ონიანმა უარი განუცხადა. უარმა საპყრობილის უფროსი განარისხა და თანამშრომლებს ომბუდსმენისთვის კასეტის წართმევა უბრძანა. გარდა იმისა, რომ გიორგი ონიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მას კარები ჩაუკეტეს და გარეთ გამოსვლის საშუალებაც არ მისცეს. N7 საპყრობილეში დატყვევებული გიორგი ონიანი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც საქმეში ჩაერთვნენ ომბუდსმენის მოადგილე, არასამთვრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის", იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები.

თავად გელა კიკილაშვილს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია - იგი საწრაფო დახმარების მანქანით გამოიყვანეს საპყრობილიდან. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მოგვიანებით კომენტარი მაინც გააკეთა. საპყრობილის პერანგაშემოხეული თანამშრომლის ჩვენების შემდეგ, მის ცემაში მართლმსაჯულების ომბუდსმენი დაადანაშაულეს, თუმცა, გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, გიორგი ონიანი დაზარალებულად გამოცხადდა.

24 საათი

დაკავებულ ძიუდოისტებს სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ

მოჭიდავეების ახლობლებმა განაჩენის გაპროტესტება სასამართლოს დარბაზშივე დაიწყეს. შემდეგ კი რუსთაველი გადაკეტეს. აყალმაყალი და ხელჩართული ჩხუბი მასობრივ არეულობაში გადაიზარდა. აუცილებელი გახდა სპეცრაზმის ჩარევა. ათეულობით ადამიანი დააპატიმრეს. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მომხდარზე პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებდნენ. გვიან ღამითაც რუსთაველზე ვითარება დაძაბული იყო.

თანხის გამოძალვის ბრალდებით დაკავებულ სპორტსმენებს ალექსი დავითაშვილსა და გიორგი რევაზიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გუშინვე, ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დაწყებამდე, სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს ალექსი დავითაშვილის ძმა დავით დავითაშვილი. გამოძიების აზრით, იგი შემთხვევით მოხვდა იმ ტერიტორიაზე, სადაც სპორტსმენები ბიზნესმენს ფულს ძალავდნენ.

ახლობლები კატეგორიულად გამორიცხავენ სპორტსმენების მხრიდან თანხის გამოძალვის მცდელობას. მათი განცხადებით, საქმეში დაზარალებულად ცნობილ გივი იორდანოვს, რომელსაც თითქოს თანხას ძალავდნენ, ალექსი დავითაშვილის ვალი ჰქონდა.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ რევაზიშვილისა და დავითაშვილის ახლობლებმა, ქართველ სპორტსმენებთან ერთად რუსთაველის გამზირი გადაკეტეს – ისინი დაპატიმრებულთა გათავისუფლებას ითხოვდნენ.

მათ გათავისუფლებას სხვა გზით ეცდება დაცვის მხარე – ადვოკატები 48 საათში სასმართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

ინტერპრესნიუსი

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებს ბრალი წაუყენეს

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს გუშინ ბრალი ქრთამის გამოძალვის მუხლით წაუყენეს. 28 ივნისს შს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვის ბრალდებით ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის კონტროლის უფროსი თენგიზ გაბელია, ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი კიკალიშვილი, ლევან ნიკოლეიშვილი, ლევან მაღრაძე და სხვა თანამდებობის პირები დააკავეს. ამ დროისთვის არსებული ოფიციალური ინფორმაციით, 2005 წლის 1 ივნისს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ინდივიდუალური მეწარმის განცხადება შევიდა, რომლის მიხედვით ირკვეოდა, რომ საგადასახადო დეპარტამენტის რამდენიმე მუშაკი მას საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენისა და საწარმოს ლიკვიდაციაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 150 ათას ლარს სთხოვდნენ. იმავე დღეს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებით ირკვევა, რომ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მთავარი საგადასახადო ინსპექტორების მიერ შედგენილი 2004 წლის 31 დეკემბრის შემოწმების შუალედური აქტით, ინდივიდუალურ მეწარმეს ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა. პირობის თანახმად, 2005 წლის 17 ივნისს თენგიზ გაბელიამ 20 ათასი ლარი აიღო, ხოლო 28 ივნისს რესტორან "იმერეთში", როდესაც გაბელია მოქალაქე ლევან მაღრაძესთან ერთად იმყოფებოდა, მას 150 ათასი ლარი გადაეცა.

გაბელიას ადვოკატი, მართალია, ადასტურების მისი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან თანხის აღების ფაქტს, მაგრამ იგი გამოძიებას ბოლომდე არ ეთანხმება. ***ინტერპრესნიუსი***

პასპორტები ორ თვეში მთლიანად შეიცვლება

იმის გამო, რომ წინასწარ დადგენილ ვადაში - 2005 წლის 1 ივლისამდე საქართველოს ყველა მოქალაქემ ვერ მოასწრო საბჭოთა სიმბოლიკის მქონე პასპორტების გამოცვლა და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის აღება, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ქვეყნის შიგნით პირადობის დამადასტურებელი საბუთის ძალა ყოფილი საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიან პასპორტებს 2005 წლის 1 სექტემბრამდე შეუნარჩუნდა.

1 სექტემბრამდე საქართველოს ყველა მოქალაქემ, ვისაც კიდევ აქვს შემორჩენილი ეს დოკუმენტი, ის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაზე უნდა გადაცვალოს. ამ პროცესის სტიმულირება კი იმითაც ხდება, რომ უახლოეს მომავალში გაუქმდება სახელმწიფო ბაჟი, რომლის გადახდაც ჯერ კიდევ აუცილებელია პირადობის მოწმობის აღებისას.

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ფორჩხიძე შემდეგ განმარტებას იძლევა: **"საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტების მოქმედების ვადა 1 ივლისს უნდა ამოწურულიყო, მაგრამ, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ამ პასპორტების სრული მასის გადაცვლა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებზე. მოგეხსენებათ, არც ისე დიდი ხნის წინათ ამ სისტემაში მაღალი იყო კორუფციის დონე და ხალხს პირადობის მოწმობის აღება გაცილებით ძვირი უჯდებოდა, ვიდრე სახელმწიფო ბაჟის სახით გათვალისწინებული 2,5 ლარი გახლდათ. მართალია, ჩვენი სამსახური ბოლო ორი წლის მანძილზე ეფექტურად მუშაობს და ამ ხნის მანძილზე პირადობის მოწმობების გაცემის სტატისტიკა გაექვსმაგდა, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება ხალხის მასა, რომელსაც არ გამოუცვლია საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტები. ჩვენი მონაცემებით, დარჩენილია მოქალაქეთა დაახლოებით 2 პროცენტი. ვფიქრობთ, რომ პასპორტების გამოცვლის პროცესისთვის ორი თვის დამატებით, ჩვენი სისტემა მოახერხებს ამ ორი პროცენტის უზრუნველყოფასაც. ამას ემატება ისიც, რომ უახლოეს მომავალში, დაახლოებით ორ კვირაში, გაუქმდება სახელმწიფო ბაჟის გადასახადიც და პირადობის მოწმობის გაცემა ყოველგვარი გადასახადის გარეშე მოხდება. ეს კანონპროექტი უკვე შესულია პარლამენტში, მალე დამტკიცდება და ძალაშიც შევა. ამით საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ახდენს იმის სტიმულირებას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. ჩვენი სურვილია, რომ პირადობის მოწმობის აღებისას, მოქალაქეებმა გამოიყენონ თავიანთი უფლებები და თუ რაიმე ხელოვნური სირთულეები შეექმნათ, მაშინვე მიმართონ იუსტიციის სამინისტროს".**

ფორჩხიძის თქმით, კვლავაც შენარჩუნდება პირადობის მოწმობის აღების ხუთდღიანი ვადა. იგივე ვადაა დაწესებული უცხოეთში გასამგზავრებელი პასპორტის ასაღებადაც, თუმცა, უცხოეთში გამგზავრების მსურველნი რამდენიმე თვეში სრულიად ახალი ტიპის პასპორტებს მიიღებენ.

ირაკლი ფორჩხიძის განმარტებით: **"ეს იქნება ახალსიმბოლიკიანი, გაუმჯობესებული დაცვითი მექანიზმების მატარებელი და ასევე ვიზუალურად ბევრად გაუმჯობესებული საქართველოს მოქალაქის პასპორტი. პასპორტის გარეგნული მხარე ასოცირებული იქნება საქართველოს სახელმწიფოს ახალ სიმბოლიკასთან, ზოგადად საქართველოსთან და ამავე დროს მისი დაცვითი მექანიზმები იქნება ბევრი წამყვანი ქვეყნის პასპორტის დარი. ოქტომბერ-ნოემბერში ეს პასპორტები უკვე მოხმარებაში შემოვა. თუმცა, უნდა დავამატო, რომ ის პასპორტები, რომლებიც უკვე გაცემულია, ახალი პასპორტების შემოსვლის შემდეგ ძალას არ დაკარგავს. მათი მოქმედება მხოლოდ მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ შეწყდება"**.

ახალი პასპორტების ნიმუში ჯერ-ჯერობით დამუშავების პროცესშია და მისი საბოლოო სახე ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ეს პასპორტები საფრანგეთში დამზადდება.

24 საათი

პირველი დეველოპერული კომპანია საქართველოში

კომპანია "აქსისი" საერთაშორისო ბაზარზე გადის

ნინო ნარჩემაშვილი

როგორც ყველაფერს, ბიზნესსაც სწავლა სჭირდება. განვითარებაზე ორიენტირებული ნებისმიერი კომპანია თუ ბიზნესი გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად საჭიროებს სიახლეს, პროგრესს, გნებავთ ნოვატორულ იდეებს. კომპანია "აქსისი", რომელიც უკვე შვიდი წელია, მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ე.წ. დეველოპერულ კომპანიად ჩამოყალიბდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "აქსისმა" მსოფლიოში მიღებულ, სტანდარტების შესაბამის, საიმედოობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გარანტად ცნობილ სამშენებლო კომპანიათა შორის დაიკავა ადგილი. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი კი "აქსისს" საქართველოს ფარგლებს გარეთ ფართომასშტაბიანი მოღვაწეობის შესაძლებლობას უქმნის.

"აქსის-პალასი".

რა შეიცვალა "აქსისის" საქმიანობასა თუ სტრატეგიაში მისი დეველოპერულ კომპანიად ჩამოყალიბების შემდეგ. "აქსისის" დეველოპერი (კომპანიაში თანამდებობის ასეთი სტატუსიც შეიქმნა) გიორგი ჭყონია აღნიშნავს, რომ **"მიმართულების შეცვლით შეიცვალა როგორც კომპანიის, ასევე მის მიერ განხორციელებული პროექტებისა და მშენებლობების მასშტაბები. "აქსისის" თანამშრომლებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს უცხოეთის ქვეყნებში, სადაც ეგრეთ წოდებული დეველოპმენტი მეცნიერების დონეზეა აყვანილი და ამ მიმართულებით სპეციალურად მზადდებიან სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ კომპანია "აქსისის" პრეზიდენტი ალექსანდრე მეჟევიძე მსოფლიოში დეველოპერთა უმსხვილესი გაერთიანების ULI-ის (Urban Land Institute) წევრი გახლავთ".**

რაც შეეხება "აქსისის" ახალი სახის პრაქტიკულ გამოხატულებას, კომპანიაში ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად "აქსის-პალასის" მშენებლობას ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ ახალი 850 ბინიან საცხოვრებელ კომპლექსს, რომელიც საბურთალოს ქუჩაზე, 30 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობზე გაშენდება, საქართველოში ანალოგი არ აქვს. კერძოდ, სხვა საცხოვრებელი სახლებისაგან განსხვავებით "აქსის-პალასი" უზრუნველყოფილი იქნება სასტუმროს ტიპის სრული მომსახურებით. მის ტერიტორიაზე განლაგებული იქნება სავაჭრო ცენტრი, საოფისე და სხვა სახის კომერციული ფართობი, სპორტული მოედნები, ბავშვთა მოედნები და სპეციალური ოთახები, საცურაო აუზი და ფიტნეს-კლუბი. შენობას ეყოლება მომსახურე პერსონალი, რომელიც იზრუნებს მის დაცვასა და სისუფთავეზე, მცხოვრებთა კომფორტზე. გიორგი ჭყონიას განმარტებით, **"აქსის-პალასის" მშენებლობის იდეაზე მუშაობა ერთი წლის წინ დაიწყო. მშენებლობა კი უკვე თითქმის ერთი თვეა, მიმდინარეობს და დეველოპერულ კომპანიად ჩამოყალიბების შემდეგ იგი ჯერჯერობით "აქსისის" ყველაზე მსხვილი პროექტი გახლავთ".** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც გიორგი ჭყონია აღნიშნავს, საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო პროექტის - პირველი ქართული ცათამბჯენის "აქსის თაუერის" მშენებლობაა, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი შენობა იქნება. კერძოდ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, თბილისის ცენტრალურ უბანში - ჭავჭავაძის გამზირზე, უნიკალური და მრავალფუნქციური პროექტის მშენებლობა დაიწყება. "აქსისში" აღნიშნავენ, რომ **"უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საქართველოში პირველ ცათამბჯენს უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც ქვეყნის არქიტექტურული განვითარების, ისე საქართველოს ევროსაბჭოში ინტეგრაციის საკითხებში".** პირველი ქართული 30 სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 110 მეტრზე მეტს მიაღწევს, ორი იდენტური ფორმის და სიმაღლის, თანაბარი მოცულობის კოშკისაგან იქნება შემდგარი, რომელთაც ერთმანეთთან ხიდი დააკავშირებს. უნიკალურია აგრეთვე ამ ორი მოცულობის კონტრასტულობა, ანუ მოსაპირკეთებელ მასალათა სხვადასხვაობა - ერთი კოშკი მინით, ხოლო მეორე ქვით დაიფარება. მინის კოშკს ბიზნეს ცენტრის, ქვისას კი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის დატვირთვა ექნება.

გიორგი ჭყონია კომპანიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამომავლო მიმართულებას აღნიშნავს. მისი თქმით, **"აქსისი" თავის პროექტებს დსთ-ს ქვეყნებშიც განახორციელებს. ამჯერად უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები".**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაცხადა კონკურსი კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად, ქ. თბილისის სამაუწყებლო ზონაში, ერთი გადამცემის გამოყენებით.

სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვრა 10.692,00 (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;

მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრა 12 საათით;

კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდა 2005 წლის 23 სექტემბერი 15:00 საათი;

ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდება 2005 წლის 14 ივლისის 17:00 საათამდე;

მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღია 2005 წლის 22 ივლისის 16:00 საათი;

დაწვრილებითი ინფორმაცია კონკურსის წესებისა და პირობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე: http://new.gncc.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=2100&info-id=3064

ან კომისიაში მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. N42, მე-3 სართული

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2005 წლის 11 მარტის N 145 გადაწყვეტილებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია") 2005 წლის 11 მარტს მიიღო გადაწყვეტილება №145, რომლის თანახმად კონკურსი გამოცხადდა 1935 მგჰც - 1950 მგჰც; 2125 მგჰც - 2140 მგჰც; 1915 მგჰც - 1920 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კომერციული კონკურსი გამოცხადდა "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 3 ივნისს მიღებულ იქნა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც შეიცვალა "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონით ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესები და პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, კომისიამ ცვლილებები და დამატებები შეიტანა კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებაში და კონკურსის ნაცვლად განსაზღვრა აუქციონის ჩატარების წესი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის **N**411/22 გადაწყვეტილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე: http://new.gncc.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=100&info-id=3061

ან კომისიაში, მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. N42 მე-3 სართული.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2005 წლის 3 ივნისის N 354/10 გადაწყვეტილებაში ცვლილება შეიტანა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია") 2005 წლის 3 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება №354/10 "მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ".

კომერციული კონკურსი გამოცხადდა "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 3 ივნისს მიღებული იქნა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც შეიცვალა "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონით ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესები და პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, კომისიამ ცვლილებები შეიტანა კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის #412/22 გადაწყვეტილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე: http://new.gncc.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=100&info-id=3063

ან კომისიაში მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. #42 მე-3 სართული.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი-1: ქ. თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ.5-კმ.9 მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.59-კმ.62 მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-3: სოფ. ბევრეთში მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა;

2. ლოტების მიხედვით სამუშაოების შესრულების ვადები: - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 18 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 19 ივლისის 1700 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

ლოტი-1 ქ. თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ.5-კმ.9 მონაკვეთის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალო 79 კვტ. სიმძლავრით	1
2	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ.	1
3	ამწე ტვირთამწეობით 3 ტ.	1
4	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ.	1
5	კომპრესორი მოძრავი	1
6	სამტვირუო ჩაქუჩები	2
7	რეცაკლირების მანქანა	1
8	ასფალტდამგები	1
9	სატკეპნი პნევმატური 15-25 ტ	1
10	სატკეპნი გლუვგალციანი 11-18 ტ	1
11	ელექტროგენერატორი	2
12	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5 მ³	1
13	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.4 მ³	1
14	საბურღო-ამწე მანქანა	1
15	ნიმანსადები მანქანა	1
16	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1
17	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ	8
18	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ	1
19	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1

ლოტი-2: მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.59-კმ.62 მონაკვეთის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალო	1
2	ამწე ტვირთამწეობით 5 ტ.	1
3	ავტობეტონსარევი	1
4	კომპრესორი მოძრავი	1
5	სამტვირუო ჩაქუჩები	2
6	საგზაო ფრეზი	1
7	ასფალტდამგები	1
8	სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ	1
9	სატკეპნი გლუვგალციანი 11-18 ტ	1
10	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.25 მ³	1
11	საბურღო-ამწე მანქანა	1
12	ნიმანსადები მანქანა	1
13	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1
14	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ	5
15	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ	1
16	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1

ლოტი-3: სოფ. ბევრეთში მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა;

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალო 79 კვტ. სიმძლავრით	1
2	ამწე ტვირთამწეობით 3 ტ.	1
3	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ.	2
4	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ.	1
5	ექსკავატორი, ჩამჩის მოც. 0.5 მ³	1
6	კომპრესორი მოძრავი	1
7	"საკი" მოძრავი	1
8	სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ	1
9	სამტვირუო ჩაქუჩები	2
10	ბულდოზერი	1
11	ხეების საჭრელი	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღნერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მფლობელობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 და ა.შ.			

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 25 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 26 ივლისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ, ასევე სამივე ლოტზე. სამივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტებზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 79-ე კმ.-ზე, მდ. ცივზე ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადეა: - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 18 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 19 ივლისის 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ბულდოზერი სამუალო 79 კვტ. სიმძლავრით	1
2	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5 მ³	1
3	გრეიდერი	1
4	ავტოთვითმცლელები	2
5	ბორტიანი ავტომანქანა	2
6	კოჭმხიდი	1
7	კომპრესორი	1
8	სამტვირუო ჩაქუჩები	4
9	საბურღი აგრეგატი (ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებისათვის Ø-1.28)	1
10	მიქსერი	1
11	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ	1
12	ამწე ტვირთამწეობით 60 ტ	1
13	ჯალამბარი 5 ტ	1
14	ასფალტდამგები	1
15	სატკეპნი მანქანა 16-20 ტ	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღნერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მფლობელობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 და ა.შ.			

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 25 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 26 ივლისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი-1: ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზის 57-ე კმ.-ზე, მდინარე ოჩხამურზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: ოზურგეთის რაიონში, შრომა-ორმეთის საავტომობილო გზის კმ.1, მდ. სეფაზე არსებული სახიდე გადასასვლელის აღდგენა;

ლოტი-3: ახალგორის რაიონში, სოფ. ბოლთან დაზიანებული სახიდე გადასასვლელის აღდგენა;

ლოტი-4: წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის მე-10 კმ.-ზე , მდ. გუბის-წყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-5: ტალერი-ნობულევის საავტომობილო გზის კმ.1, მდ. ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-6: მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ.10, მდ. ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-7: ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

2. ლოტების მიხედვით სამუშაოების შესრულების ვადები: - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 18 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 19 ივლისის 1700 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

ლოტი-1 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზის 57-ე კმ.-ზე, მდინარე ოჩხამურზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	საბურღი აგრეგატი	2
2	ავტომაწე ტვირთამწეობით 25 ტ.	1
3	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ.	1
4	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5 მ³	1
5	მიქსერი	1
6	ბორტიანი ავტომანქანა	2
7	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ	3

ლოტი-2: ოზურგეთის რაიონში, შრომა-ორმეთის საავტომობილო გზის კმ.1, მდ. სეფაზე არსებული სახიდე გადასასვლელის აღდგენა:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ექსკავატორი, ჩამჩის მოც. 0.25 მ³	1
2	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ.	1
3	ამწე ტვირთამწეობით 16 ტ.	1
4	ავტოთვითმცლელები	3
5	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ.	1
6	შედუღების აპარატი	2
7	კომპრესორი	1
8	შესაღები აპარატი	1
9	ავტოგრეიდერი	1
10	ბეტონსარევი	1

ლოტი-3: ახალგორის რაიონში, სოფ. ბოლთან დაზიანებული სახიდე გადასასვლელის აღდგენა:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ტრაქტორი, სიმძლავრით 40 კვტ	1
2	ბულდოზერი სიმძლავრით 55 კვტ.	1
3	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ.	1
4	ავტოგრეიდერი სიმძლავრით 79 კვტ.	1
5	სატვირთო პნევმატური 11 ტ	1
6	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1
7	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ.	1
8	ექსკავატორი, ჩამჩის მოც. 0.65 მ³	1
9	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ.	3
10	ბორტიანი ავტომანქანა	1
11	კომპრესორი/სამტვრევი ჩაქუჩები	1/2

ლოტი-4: წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის მე-10 კმ.-ზე , მდ. გუბის-წყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	კომპრესორი წარმადობით 9-10 მ³/წთ	1
2	პნევმატური ჩაქუჩები	2
3	ექსკავატორი, ჩამჩის მოც. 0.5 მ³	1
4	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 5 ტ.	3
5	ტრაქტორი	1
6	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ.	1
7	მოძრავი 250 ლ. ტევადობის ბეტონის ამრევი	1
8	ვიბრატორი	1
9	ავტოგუდრონატორი	1
10	ასფალტდამგები	1
11	სატვირთო პნევმატური 18 ტ	1
12	სატვირთო გლუვი 5-6 ტ	1

ლოტი-5: ტალერი-ნობულევის საავტომობილო გზის კმ.1, მდ. ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალი	1
2	ბულდოზერი	1
3	ამწე ტვირთამწეობით 25 ტ.	1
4	ამწე ტვირთამწეობით 20 ტ.	1
5	დომკრატები	4
6	ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.65 მ³	1
7	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 5 ტ	2

ლოტი-6: მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ.10, მდ. ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ბულდოზერი	1
2	ექსკავატორი 0.65 მ³	1
3	ავტომაწე ტვირთამწეობით 16 ტ.	1
4	ბეტონტუმბო	1
5	გრეიდერი	1
6	ასფალტბეტონის დამგები	1
7	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 5 ტ.	3
8	სატვირთო წორითი 5 ტ	1
9	სატვირთო წორითი 10 ტ	1
10	კომპრესორი	1
11	სამტვრევი ჩაქუჩები	5
12	საბურღი ჩაქუჩები	5
13	წყალსაქაჩი ტუმბოები წარმად. 120 მ³/სთ	4

ლოტი-7: ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალი 79 კვტ. სიმძლავრის	1
2	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 132 ტ.	6
3	ამწე ტვირთამწეობით 16 ტ	1
4	ბულდოზერი 180 კვტ. სიმძლავრის	1
5	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ.	1
6	ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0.25 მ³	1
7	ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0.5 მ³	1
8	სატვირთო გლუვი 15-18 ტ	1
9	სატვირთო გლუვი 6-8 ტ	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 და ა.შ.			

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 25 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 26 ივლისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ, ასევე შვიდივე ლოტზე. შვიდივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტებზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, II კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილია:

1. ს.ს "საქტეშენიტის" მიერ ტყიბულის რ-ნში, "კურსების ტეშენიტების საბადოს უბანი I (მარჯვენა სანაპირო) და უბანი II (მარცხენა სანაპირო) კარიერების რეკონსტრუქციის პროექტი";
2. შპს "ბაკოს" მიერ ქსნის რ-ნში, სოფ. აღაიანში "ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადოს დამუშავების პროექტი"
3. შპს "ბარდნალას" მიერ "ცაგერის რ-ნის ქულბაქის მინერალური წყლის წყაროს ბაზაზე ჩამოსასხმელი საწარმოს პროექტი"

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 16 აგვისტომდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი,Fგულუას ქ. N6

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 16 აგვისტოს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

www.drf.org.ge

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

განვითარებისა და რეფორმების ფონდი
ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო
ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)
ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge
ირინა სულავა
სასწავლო პროგრამის კოორდინატორი

06.00 "Сегодня утром" **09.00** Совершенно секретно. Инкорпорация в размышлении. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное положение. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Борис Токарев в фильме **"ПРЕЗИДЕТ И ЕГО ЖЕНЩИНА". 15.35** Нрав разума. **16.20** Ток-шоу "Пришлый домино". **17.30** Шоу Сегенанекс. **18.35** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Прима Гриева в сериале **"ТОЛЬКО ТЫ...". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"РАЖ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Чорных **CMEPTЬ-3**. Баядя монолих отмороков террористов района Восточного Бью-Йорка. Здесь появляется "Вороп из этой" по имени Пол Курон. Его берет в оборот инспектор полиции и заставляет ступить в настоящий бой с бандой. Герой-одиночка находит поддержку у местных семей. Усиленных выходками отморозков. Сообща они организуют сопротивление. **03.10** Зрин Хадсон в сериале **"10 - 8". 04.15** Сериал **"ДЖЕКПОТ 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

06.00 "Сегодня утром" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20** Сериал **"ВДОВА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 11.30** Детективный сериал **"ВОЛШЕБНАЯ ЛОПАТА". 14.20** Док. фильм **"ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 14.20** Анжа фрейндлих в детективе **"КОЛЬЦО ДРАКОНА". 17.20** Сериал **"ЗАКОН ДЖУНГЛЕЙ". 18.20** Приключенческий детектив **"ЗАКОН ДЖУНГЛЕЙ". 19.20** Прикосновение к сенсации **"ЗАМБЛИЛИ Я ПОБЕГ". 20.20** Док. фильм **"ТАЙНЫЙ ХОД". 1492** Цикл документальных фильмов **"ПЯТЬ ЗВЕЗД". 21.20** Драма **"ТРАНСАТЛАНТИЧЕСКИЙ ЭКСПРЕСС". 23.10** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

06.00 "Сегодня утром" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВДОВА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 10.20** Сериал **"ВДОВА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 11.30** Детективный сериал **"ВОЛШЕБНАЯ ЛОПАТА". 14.20** Сериал **"ЗАКОН ДЖУНГЛЕЙ". 15.20** Приключенческий сериал **"ЗАМБЛИЛИ Я ПОБЕГ". 16.20** Сериал **"ТАЙНЫЙ ХОД". 17.30** Шоу Сегенанекс. **18.35** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Прима Гриева в сериале **"ТОЛЬКО ТЫ...". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"РАЖ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Чорных **CMEPTЬ-3**. Баядя монолих отмороков террористов района Восточного Бью-Йорка. Здесь появляется "Вороп из этой" по имени Пол Курон. Его берет в оборот инспектор полиции и заставляет ступить в настоящий бой с бандой. Герой-одиночка находит поддержку у местных семей. Усиленных выходками отморозков. Сообща они организуют сопротивление. **03.10** Зрин Хадсон в сериале **"10 - 8". 04.15** Сериал **"ДЖЕКПОТ 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

P.S. Фотографии любезно предоставил (12), (15), (18) агентство Загадочная Россия, где вы можете найти еще больше удивительных фактов о нашей стране.

06.00 "Сегодня утром" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВДОВА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 10.20** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.30** Очередной выпуск Смехуновского **"ОБЪЕКТИВ". 14.30** Сериал **"ЗАМБЛИЛИ Я ПОБЕГ". 15.30** Сериал **"ТАЙНЫЙ ХОД". 16.30** Сериал **"ЗАКОН ДЖУНГЛЕЙ". 17.30** Шоу Сегенанекс. **18.35** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Прима Гриева в сериале **"ТОЛЬКО ТЫ...". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"РАЖ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Чорных **CMEPTЬ-3**. Баядя монолих отмороков террористов района Восточного Бью-Йорка. Здесь появляется "Вороп из этой" по имени Пол Курон. Его берет в оборот инспектор полиции и заставляет ступить в настоящий бой с бандой. Герой-одиночка находит поддержку у местных семей. Усиленных выходками отморозков. Сообща они организуют сопротивление. **03.10** Зрин Хадсон в сериале **"10 - 8". 04.15** Сериал **"ДЖЕКПОТ 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

06.00 "Сегодня утром" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВДОВА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 10.20** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.35

მოსკოვის გზა ბათუმზე გადის

B2

№ 000467048

B3

თავისუფალი და მზიანი ქალაქი

B6

ხიდი ისტორიას და ისტორიას შორის

და დანიშნული მერი არჩევითის შესახებ

პირველი გვერდიდან

გვინდა არამხოლოდ კანონმდებლობით, არამედ რეალურად შევქმნათ პრეცედენტი იმისა, რომ სრულფასოვანი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შესაქმნელად ქალაქმა, კერძო ბიზნესმა და საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა ერთად გაიარეს ყველა ნაბიჯი.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: თბილისში გვაქვს უნიკალური ადგილი, სადაც ერთ მონაკვეთზეა თავმოყრილი ეროვნული საგანძური და სიმდიდრე. ეს არის გუდიაშვილის ქუჩა. ამიტომაც, ერთ მაგიდასთან დავსხედით ეროვნული მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა, მუნიციპალიტეტი და ერთობლივად ვიფიქრეთ იმაზე, რაც ამ უბანში, ამ ქუჩაზე ახალ სიცოცხლეს შექმნის. ახალი სულის შთაბერვით მოგებული დარჩება ქალაქიც, ბიბლიოთეკაც და მუზეუმიც, რადგან გარშემო განვითარდება ინფრასტრუქტურა. ეს კი მოიზიდავს დამატებით მკითხველს, უცხოელ თუ ადგილობრივ დამთვალიერებელს. ეს აგრეთვე მომგებიანი იქნება კერძო ბიზნესისთვის, რადგან ეს იქნება არა უბრალოდ უბანი, სადაც არის ამგვარი ტიპის საგანმანათლებლო, სამეცნიერო სახელოვნებო ინსტიტუტები, არამედ მთელი ეს სივრცე - ქუჩები, ტროტუარები, რომელიც გაჟღენთილი იქნება ეკონომიკური აქტივობით. ეს უნდა იყოს სავსე და ცოცხალი უბანი, სადაც ტურისტი მიდის. მას კი არა მხოლოდ საგანძურის დათვალიერება სჭირდება, არამედ განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურაც.

- ამბობთ უბანს და მხოლოდ ქუჩას გულისხმობთ?

- ეს ტერიტორია მოიცავს თავისუფლების მოედანს, პუშკინის სკვერს, ხელოვნების მუზეუმს, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ისტორიის მუზეუმს, კინოთეატრ "რუსთაველს", ქაშუეთს, ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიას, "კოლმეურნეობის მოედანზე" მდებარე სკვერს და ალექსანდროვის ბაღის ნაწილს. შეიძლება, ამ ნუსხაში ბაღის მეორე ნაწილიც მოხვდეს.

ეს არის უბანი, სადაც სახელმწიფო ინტერესი მუზეუმების და ბიბლიოთეკის სახით არის გამოხატული. აქ კერძო ინტერესებიც დევს და დიდ მშენებლობას ველით. განვითარების პროცესის ისე წარმართვა გვინდა, რომ არ დაზიანდეს ის, რაც უკვე არსებობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ურბანიზების ისეთი მოდელის განხორციელებაა, რითიც აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა, სახელმწიფო ინსტიტუტმა თუ კერძო სექტორმა უნდა იცოდეს, რა ელის, რათა არ დაარღვიოს ისტორიულად არსებული უბნის კონცეფცია და შექმნას ისეთი ობიექტები, რომელიც უბნის ღირებულებას და ფასს აწევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესახებაც ვიტყვი - რუსთაველის გამზირი ადმინისტრაციული ცენტრიც არის და ქალაქის მნიშვნელოვანი ღერძიც. გვაქვს შარდენის და ლესელიძის ქუჩები, კალის უბანი. გუდიაშვილის ქუჩის კონცეფციის გაჩენით ჩვენ ხიდს ვდებთ ამ ორ ისტორიულ უბანს შორის და ეს ერთგვარი გაგრძელება იქნება.

- რა კავშირში იქნება ამასთან მტკვრის კალაპოტში პრეზენტირებული მშენებლობის პროექტი?

- ეს მნიშვნელოვანი საკითხია. როდესაც ქალაქში ამ ტიპის მნიშვნელოვანი ხედვა ყალიბდება - რესპუბლიკის მოედანი, მეტეხის ხიდი, ხელოვნების უბანი თუ სხვა - მუნიციპალიტეტი ყველასთან ინდივიდუალურ მიდგომას არჩევს. ამიტომ შეიქმნა რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდი, რომლის ერთადერთი ამოცანაა, "სილქ როუდ ჯგუფთან" და მუნიციპალიტეტთან ერთად მოედნის განვითარების გეგმა დაამუშაოს. როცა არსებობს კონცეფცია, მერე ნებისმიერ ინვესტორს, რომლისთვისაც რესპუბლიკის მოედნის კარი გაიღება, შეუძლია ამ კონცეფციის ფარგლებში განახორციელოს ინვესტირება. ასეთი მიდგომა გვაქვს ყველგან, ყველა უბანში. მას შემდეგ, რაც ქალაქი კონცეფციას დაამტკიცებს, მიღებული იქნება თამაშის წესები, რომლითაც ნებისმიერ ინვესტორს შეეძლება მუშაობა.

- რას ელის ამ პროექტისგან მუზეუმი?

დავით ლორთქიფანიძე: იდეა, რომ ეს სამუზეუმო ქუჩა ყოფილიყო, ცნობილი მხატვრის, უდიდესი მოღვაწისა და ვიტყოდი, კულტურული მემკვიდრეობის კონცეფციის ერთ-ერთი შემქმნელის, დიმიტრი შევარდნაძის დროიდან არსებობს. საბჭოთა ეპოქაში, არქიტექტორმა ქურთიშვილმა პროექტიც კი შექმნა და ხელოვნების მუზეუმის მაშინდელ დირექტორთან, თამარ სანიკიძესთან ერთად უკვე ამ პროექტის ამოქმედებაზე ფიქრობდნენ, გენერალური გეგმაც კი არსებობდა.

21-ე საუკუნეში ეს საკითხი ახალი მოთხოვნებით დადგა. საბჭოთა კავშირი მძლავრი სახელმწიფო იყო. დღეს უნდა ვნახოთ, რამდენად მზად ვართ თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, ქალაქის ადმინისტრაციის ხედვა. მნიშვნელოვანია პროფესიული სფეროც - კულტურა, განათლება, მეცნიერება. კერძო ბიზნესის - "ჯი-ემ-თი" ჯგუფის ინტერესებიც, რომელიც ამ კონცეფციის შექმნაში პირველივე წუთებიდან არის ჩართული. კერძო სექტორი და საზოგადოება დასაწყისშივე ერთვება პროცესში. თავიდანვე შეიქმნა თამაშის წესები. ძალიან ლოგიკურია, რომ ეს უბანი სწორედ ასეთი გახდეს - გუდიაშვილის სახელი, ძეგლი, მისი სახლი-სახელოსნო და სხვა...

არსებობს სივრცე, რომელიც თავის დროზე ფონდსაცავად იყო დაგეგმილი. იქნებ, ფონდსაცავზე უფრო ოპტიმალური იყოს შენობა, რომელიც საზოგადოებაზე იქნება ორიენტირებული. ჩემი ოცნებაა, არსებობდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მუზეუმი, სადაც ადამიანები თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს გაეცნობიან.

ამ კონცეფციის შექმნაში მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი არქიტექტორები, შემდგომ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებაც ჩაერთვება. ჩემი აზრით, სწორედ ასე უნდა კეთდებოდეს საქმეები.

- რა შეიძლება იყოს ის, რაშიც თქვენი და ინვესტორთა ინტერესები არ დაემთხვევა?

- დღეს კონცეფცია ყალიბდება. ეროვნული ბიბლიოთეკისა და მუზეუმის ფუნქცია საზოგადოების ინტერესების დაცვაა. შეუძლებელია, ქალაქის მერიამ ან ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველა პრობლემაზე იფიქროს. ჩვენ ამ პასუხისმგებლობასაც ვიღებთ და ქალაქის და კერძო სექტორის პარტნიორები ვხდებით. სამწუხაროდ, დღეს არც ისე ბევრია კერძო სექტორთან თანამშრომლობის სწორი მოდელები და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს სწორედ ეს შემთხვევა იქნება, რადგან თანამშრომლობა თავიდანვე იწყება.

გარდა ამისა, ამ მოდელს საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. ეს ტერიტორია შეიძლება გახდეს წარმატებული მოდელი იმისა, თუ როგორ ერთვება კულტურული მემკვიდრეობა თანამედროვე პროცესებში.

- მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი საგანძურის მფლობელები ვართ, ჩვენს ქვეყანაში სამუზეუმო საქმე არასდროს ყოფილა კომერციულად მომგებიანი. კონკრეტულად როგორი იქნება ამ პროექტის ეკონომიკა?

- ჯერ უნდა გავთვალოთ - ეს ეკონომიკა არის მუზეუმის პირდაპირი შემოსავალი თუ მისი კონტრიბუცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნდა ვისაუბროთ გარე მომხმარებელზეც და შიდაზეც. გარე მომხმარებელი არის ტურისტი. თუ იქვე განვითარებულია ინფრასტრუქტურა, ტურისტი, რომელიც მუზეუმში მოდის და თუნდაც, უფასო ბილეთით, ფულს ხარჯავს იმ ახლომდებარე ობიექტებში. აქ განვითარდება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ეკონომიკა - განსხვავებული ტიპის კაფე და მაღაზია იქნება, ვიდრე ეს ქალაქში, სხვაგან არის.

შიდა რესურსები კიდევ უფრო მიშვნელოვანია, რადგან ამ ადგილზე საზოგადოების განათლებისთვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ჩნდება. მერწმუნეთ, მარტო სკოლა საკმარისი არ არის. ყველაზე მთავარი ცოდნის მოპოვებაა და თუ ამისთვის მომზიბლავ წერტილებს შევქმნით, ეს უკვე გამარჯვებაა. აქ ყველა უნდა იგებდეს - ქალაქი, ბიზნესი და საზოგადოება. მუზეუმი, ბიბლიოთეკა კი - საზოგადოებაა. სხვაგვარად ჩვენს ინტერესებს ვერ დავიცავთ.

- ბატონო ზურაბ, ამ შემთხვევაში რა არის სახელმწიფო მოხელის ფუნქცია?

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ერთი მხრივ, ქალაქში კერძო ბიზნესის შემოსვლის ხელშეწყობა ისე, რომ ბიზნესი მხოლოდ იმ ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდეს, რომელიც დღევანდელ ქათამზეა გათვლილი...

დავით ლორთქიფანიძე: არავინ არის კოპერფილდი, რომ ჯოხი დაიქნიოს და ხვალვე რაღაც გაჩნდეს. ეს არის შანსი...

ზურაბ ჭიაბერაშვილი: გუდიაშვილის ქუჩის ერთი ნაწილი ახლა გადაკეტილია, ეროვნული ბიბლიოთეკის თხოვნით, შარშან სკამები დავამონტაჟეთ. ეს მხოლოდ ერთჯერადი ჩარევაა. ახლა გვაქვს უნიკალური შანსი, შედგეს მთელი ქუჩის კონცეფცია და ისიც კი მილიმეტრობით გავზომოთ, როგორი ლამპიონები გვინდა და როგორი საზურგე სკამებისთვის.

- ამ ყველაფერზე ცალ-ცალკე კონკურსი ჩატარდება?

- დიახ. ყველანი ერთ მაგიდასთან დავსხედით და პირველ რიგში, საკონკურსო პირობები ჩამოვაყალიბეთ. შაბათს სწორედ ამის პრეზენტაცია იქნება. ფრანგ და ცნობილ ქართველ არქიტექტორთან მუშაობით დადგინდა საკონკურსო პირობები. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა იცოდნენ, რა მოთხოვნებს უყენებს მათ მუნიციპალიტეტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმი და სხვა.

- "ჯი-ემ-თის" რაიმე პრივილეგია ექნება?

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ამ ჯგუფის ინტერესი შემოსაზღვრულია იმ ტერიტორიით, რომელზეც ის არის წარმოდგენილი - მხატვრის სახლის ყოფილი ტერიტორია. "ჯი-ემ-თი" ამბობს, რომ სურს შენობის აგება, რომელშიც სიცოცხლე იჩქეფებს. თუ ის ამ შენობას ააშენებს, მომხმარებელი 1000 კაცი ეყოლება. მაგრამ მათ ესმით, რომ თუ ქუჩა განვითარებული და ცოცხალია, მას ეყოლება არა 1000, არამედ - 2000 მომხმარებელი. ამასვე ამბობს ეროვნული მუზეუმი, ბიბლიოთეკა. მე, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველ ქალაქის მერს, მინდა რომ განვითარდეს უბანი, ნებისმიერი ტიპის ინფრასტრუქტურა. ჩემი მთავარი ინტერესია, როგორ იგრძნობენ თავს ამ გარემოში იქ მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ამ პროცესის მონაწილენი უნდა გავხადოთ. ამ უბნის ძალიან ბევრი პრობლემის გადაწყვეტაში ქალაქის ხელისუფლება უნდა ჩაერიოს. ამისთვის მუნიციპალიტეტმა უნდა იცოდეს, რაში ერევა, რას იღებს საკუთარ თავზე და რატომ უღირს ამ ხარჯების გაღება. ვიცი, რომ თუ ამ უბნის განვითარებაზე ფულს დავხარჯავ, მომავალში ეს იმის საშუალებას და სახსრებს მომცემს, რომ სხვა უბნებსაც მივხედო. ეს არის მიდგომა, რომლითაც სარგებელს ყველა იპოვის.

- შეიძლება ითქვას, რომ იქმნება მოდელი, რომლითაც იმოქმედებთ არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ ქალაქის სხვა უბნებშიც?

ზურაბ ჭიაბერაშვილი: სწორედ ამაზეა საუბარი.

დავით ლორთქიფანიძე: ეს არის მოდელი, თუ როგორ უნდა მივიღოთ შედეგი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ყველა შეიძლება იყოს მოგებული. ახლიდან იწყება უამრავი რამის კეთება. ეს შეიძლება, სახელმძღვანელოც იყოს. ეს ხომ არ არის ერთდღიანი პროექტი და ნუ წარმოვიდგენთ, რომ ამ უბანში ოაზისი გაისადგე იქნება... პროცესის დაწყება და მონიტორინგი კი ახლავე შეიძლება. "ხელოვნების უბანი" პირობითი დასახელებაა. ეს არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული უბანი. საზოგადოება ხედავს, როგორ მიდის პროცესი, პროექტი ვებ-გვერდზე იქნება, კონკურსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერს შეეძლება, ასევე ყველას შეეძლება დამოკიდებულების გამოხატვა არჩევის დროსვე და არა პოსტფაქტუმ. ჩვენ ავირჩიეთ გრძელი გზა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სწორი. ამ შემთხვევაში, კერძო სექტორსაც სწორი დამოკიდებულება გაუწნდა.

- აქამდე ქალაქს კერძო ინტერესები კარნახობდა განვითარების გზას და შედეგებს ნებისმიერი ფანჯრიდან ვხედავთ....

ზურაბ ჭიაბერაშვილი: დიახ, ყოველთვის კონკრეტულ პროექტს ერგებოდა ქალაქი და არა პირიქით. ახლა პრინციპს ვცვლით. მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში დიდი ძალისხმევა არ დაგვჭირვებია.

- "ჯი-ემ-თი" ჯგუფს ამ ტერიტორიისთვის მხატვართა კავშირთან დავა ჰქონდა...

- დიახ და სასამართლომ ეს ტერიტორია ამ ჯგუფს მიანიჭა. ამ ტერიტორიაზე ქალაქის მუნიციპალიტეტს 35-პროცენტიანი წილი ექნება. შემოსავლები ქალაქის ბიუჯეტში შევა.

კონკურსი ვადებში გაწერილია და სამ თვეში უნდა დასრულდეს. არსებობს კონკრეტული საკონკურსო პირობები - ვაცხადებთ კონკურსს კონცეფციაზე და გენგეგმაზე. ამ კონკურსის შემდეგ მიწის მეპატრონე აცხადებს არქიტექტურულ კონკურსს. არქიტექტორმა იცის, რომ ის შემოსაზღვრული გარკვეული პარამეტრებით, რომელსაც კონცეფცია ანესებს. საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება, კულტურული მემკვიდრეობის თითოეული ობიექტის დახასიათება, 1800 წლიდან მოყოლებული ამ ტერიტორიის რუკები, ტრანსფორმაციის შესაძლებლობები, ნაგებობების დაცვის სტატუსი, შენობების ტექნიკური მდგომარეობა, თანამედროვე ფუნქციები - ეს ყველაფერი საკონკურსო მასალაში დევს.

- და ამაზე ქალაქმა იმუშავა?

- არა, ეს ერთობლივი ნამუშევარია. ჩვენი კანონმდებლობით, ისტორიულ ნაწილში დაგეგმილმა მშენებლობამ აუცილებლად უნდა გაიაროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, რომლის მოთხოვნითაც უბნის წინასწარი კვლევა უნდა ჩატარდეს. ამ კვლევამ უნდა მოგვცეს პარამეტრები, რომელსაც აუცილებლად უნდა აამაყოფილებდეს ისტორიულ ნაწილში აგებული ახალი შენობა. დათმა თქვა, რომ ეს დროში გაწელილი პროცესია, დიახ, ეს ასეა, მაგრამ გვინდა არა მხოლოდ კანონმდებლობით, არამედ რეალურად შევქმნათ პრეცედენტი იმისა, რომ სრულფასოვანი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შესაქმნელად ქალაქმა, კერძო ბიზნესმა და საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა ყველა ნაბიჯი ერთად გაიარეს.

დავით ლორთქიფანიძე: საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება, რადგან ჩვენ საზოგადოებრივ ადგილებზე ვსაუბრობთ. ახალი სამუზეუმო კორპუსი რომ აშენდეს, ეს საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გახსნილი უნდა იყოს. ვიწრო მეცნიერული დაწესებულება დიდი ფუფუნებაა, მაგრამ თუ ამას სწორად განვავითარებთ, ეს სფეროც, კოლექციებზე დაფუძნებული ყველა მეცნიერება განვითარდება.

- იანვრიდან ეროვნული მუზეუმის დირექტორი ხართ. ამ სფეროსადმი ადამიანების ინტერესი მზარდია?

- საქართველოში ცოდნის და ახალი ინფორმაციის მიღების უზარმაზარი ინტერესია. საზოგადოებრივი განათლების მოთხოვნილება ყველას აქვს. ცოდნის მიღების უფრო ოპტიმალური იარაღის წარმოდგენა, ვიდრე მუზეუმია - შეუძლებელია. აქ არის მასალა და რესურსი. მეცნიერული რესურსის დასაქმება სწორედ ამ პროცესით ხდება. როდესაც კარგად მოწყობილია და გასიამოვნებთ მისვლა, ეს ორმაგ შედეგს იძლევა. მე დღეს ვარ დირექტორი და ხვალ შეიძლება არ ვიყო...

ზურაბ ჭიაბერაშვილი: მე კი დღეს ვარ მერი და ხვალ შეიძლება არ ვიყო...

- ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ... ბატონო დავით, ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეს პროექტი ფუფუნება ხომ არ არის?

- დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ამ დარგის განვითარებაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში ზრუნავდნენ. ჩინეთს მსგავსი კონცეფცია 2015 წლამდე აქვს განერილი და მას "დიდი მუზეუმანია" ჰქვია. ამ პროექტით ათასობით მუზეუმის აშენება აქვთ ჩაფიქრებული.

მუზეუმს ფუნქცია შეეცვალა და ის აღარ არის ისეთი, როგორიც 50 წლის წინ იყო. დღეს მუზეუმი გაცილებით მრავალფუნქციურია, ინტერაქტიულია, პერფორმანსის ადგილია და სხვა. ჯერჯერობით, აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის შექმნილი ის მოდელი, რომელზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ. პიონერები ვართ და ეს საშუალებას გვაძლევს, ამ პროექტში გარკვეული საერთაშორისო დახმარება მივიღოთ.

ჩვენ გარდამავალ ხანაში ვართ და უნდა შევქმნათ მაგალითი იმისა, რომ პროცესი დაიწყოს. ამან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს სიძლიერეს. ყველაზე მთავარი განათლებაა და ჩვენთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი პროცესი. ეს ყველაფერი კი იმას ემსახურება, რომ მომავალი თაობა ძლიერი იქნება.

ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა და მუზეუმი წარმოადგენენ სახელმწიფოს - კულტურის სამინისტროს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს და პარლამენტს. ჩვენ სახელმწიფო ორგანიზმი ვართ. ეს კულტურის განათლებისა და მეცნიერებისთვის ის ახალი წერტილია, სადაც ახალი პროცესები წარიმართება.

- რადგანაც აქ ვარ, მერის არჩევნებზეც გკითხავთ...

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ამის შესახებ საკუთარი მოსაზრება მაქვს და ეს აზრი მერის საკრებულოს გავლით არჩევას გულისხმობს. ვერ გამოვთქვამ აზრს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით...

- რატომ, გამოცდილება არ გყოფნით?

- ...მერი საკრებულოდან უნდა აირჩეს და ეს ცხადზე უცხადესია, ამას პრაქტიკიდან გამომდინარე ვამბობ.

- როგორია ეს პრაქტიკა?

- მთავარი არგუმენტი, რომელსაც ვიზიარებ, გია ნოდიამ უკვე თქვა - ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე წესი - პირდაპირი არჩევა იქნება თუ საკრებულოს გავლით - ანტიდემოკრატიულია. დემოკრატიულობა არჩევითობას ნიშნავს, რომელსაც ორივე ეს გზა გულისხმობს. გია ნოდიამ ასეთი რამ თქვა - ოპოზიცია მერის პირდაპირ არჩევნებს იმ ნიშნით ითხოვს, რომ ამ მექანიზმით არჩეული მერი შეიძლება იქცეს იმ ალტერნატიულ ლიდერად, რომელიც რაღაცნაირად დაბალანსებს მიხეილ სააკაშვილს და მის ძალაუფლებას. მიმაჩნია და გიაც ამბობს, რომ ჩვენ თუ რამის დაბალანსება გვინდა, ძველი ინსტიტუტები ახალი ინსტიტუტებით უნდა დავაბალანსოთ და არა პიროვნებები - პიროვნებებით. პიროვნულობაზე აგებული პოლიტიკა ყოველთვის პოპულისტური და რადიკალური იქნება.

- დე, გაჩნდეს ახალი ლიდერი, რა არის ცუდი ამაში?

- არ მგონია, რომ ლიდერების დეფიციტი გვაქვს. სხვა საკითხი იყო ლიდერების კვალიფიკაცია, ხარისხი და პროფესიონალიზმი. როგორც მიხეილ ჯავახიშვილი იტყოდა, "თუ საჭირო გახდა, თუნდაც ფუღუროდან გამოვარდება". ჩვენ ვდგავართ ალტერნატივის წინაშე - გვინდა პიროვნულ დაპირისპირებაზე აგებული პოლიტიკა, თუ გვინდა მერი, რომელიც ნაკლებად ერევა პოლიტიკაში და ქალაქის საქმეებით არის დაკავებული. თუ ჩვენ საერთო ეროვნული პოლიტიკის ძლიერი ფიგურა გვსურს, რომელიც პრეზიდენტს და ცენტრალურ მთავრობას ეკამათება, ეს სხვა საკითხია. თუ გვინდა მერი, რომელიც მერიაში დღეს მიმდინარე რეორგანიზაციის და რესტრუქტურიზაციის პროცესს გააგრძელებს, დაალაგებს შესყიდვების სამსახურს და საკუთარი მოქალაქეების სერვისს გააუმჯობესებს - ეს კიდევ სხვაა. მიმაჩნია, რომ ეს უკანასკნელი გვინდა.

- თქვენ როგორი მერი ხართ?

- ვარ კატეგორია, რომელიც მერიის შიდა საქმიანობით არის დაკავებული.

- კარგი ყოფილა დანიშნული მერი...

- დანიშნული მერი - ეს ხაზი უნდა ჩავჭრათ, ეს არჩევითი უნდა იყოს. არ შეიძლება საკითხის კონკრეტული ხელისუფლების კონტექსტში განხილვა. ამ ქვეყანაში პრეზიდენტიც შეიცვლება, ხელისუფლებაც, მთავრობაც და პარლამენტიც. უნდა დარჩნენ ინსტიტუტები. მიმაჩნია, რომ თუ ვიღაცას საპარლამენტო მმართველობა ქვეყნის მასშტაბით მოსწონს (მაგალითად, "რესპუბლიკელებს"), რატომ არ შეიძლებაეს ქალაქის დონეზეც მოგვწონდეს?

- ეს ცოდნები ხელისუფლებამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიძინა, თორემ ოპოზიციაში ყოფნის დროს სხვა რამეს ამბობდა.

- გეთანხმებით, ამ ხნის განმავლობაში მეც ბევრი ილუზია დამემსხვრა.

- და ახლა ზოდელავასი გესმით?

- მერიის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ და ინტენსიურ ჩართვას ველოდი. სხვა რამ მიმაჩნია პრიორიტეტულად და სადისკუსიოდ და არა ის, რა წესით იქნება არჩეული მერი. უფრო მნიშვნელოვანია, როგორი უნდა იყოს თვითმმართველობის ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები. დღეს საქართველოს ქალაქებში არჩეული მერები გვყავს. ვინმე იტყვის, რომ არჩეული მერის პირობებში სადმე უფრო უკეთესი ვითარებაა, ვიდრე თბილისში ან ფოთში? ესე იგი, საქმე არჩევითობაში არ არის. ეს არის კომპეტენციის ფარგლები, ფუნქციები და ეკონომიკური, ფინანსური საფუძველი. შეიძლება, რაღაც ორგანოზე პოლიტიკური უფლებების დელეგირება მოვახდინოთ, მაგრამ თუ მას შესაბამის ფინანსებს და ეკონომიკას არ მივცემთ, ეს სალაყბო იქნება.

ინფორმაცია

რობინიო: "რეალში" თამაში მინდა"

კონფედერაციათა თასის ფინალის შემდეგ, რომელიც ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა (არგენტინა დამარცხდა 1:4), ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რობინიომ მოკლე ინტერვიუ მისცა ბრაზილიურ ტელეარხს Rede Globo-ს. მან მადრიდის "რეალში" თამაშის სურვილი გამოთქვა და განაცხადა, რომ ამ საკითხზე "სანტოსის" პრეზიდენტთან აპირებს გასაუბრებას. მას სურს, პრეზიდენტმა წასვლის ნება მისცეს.

"ვფიქრობ, დროა, "სანტოსიდან" წავიდე. ბრაზილიაში დავბრუნდები და პრეზიდენტს დაველაპარაკები. იმედი მაქვს, აუცილებლად გამიგებს. ჩემი სურვილია მადრიდის "რეალში" თამაში," - განაცხადა რობინიომ. იქვე დასძინა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი "ფეხბურთის სათამაშოდ საუკეთესო ადგილად" მიაჩნია, "სადაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ".

რობინიომ აღიარა, რომ მას კვლავაც სურს ვანდერლეი ლუშემბურგოს ხელმძღვანელობით თამაში.

თუმცა, "სანტოსის" ხელმძღვანელობა აზრის შეცვლას არ აპირებს და აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ ეს თავდამსხმელი, სულ მცირე, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე მაინც დარჩება გუნდში.

შეგახსენებთ, ნოემბერში კრიმინალებმა რობინიოს დედა გაიტაცეს და 41 დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

"ბირმინგემმა" ნაფტი შეიძინა

ინგლისური კლუბის "ბირმინგემის" ხელმძღვანელობამ "რასინგის" ნახევარმცველის მეჰდი ნაფტის გადმოსვლასთან დაკავშირებით ყველა საჭირო საკითხი მოაგვარა. 26 წლის ფეხბურთელის შეთანხმება სამ წელს ითვალისწინებს. ნაფტი თავის ახალ გუნდს 6 ივლისს შეუერთდება.

დალა ბონა უკვე "სამპდორიას" ეკუთვნის

ნახევარმცველმა სემ დალა ბონამ, რომელზეც უფლება ეკუთვნოდა "მილანს", "სამდორიასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თავიდან ამ კლუბის ხელმძღვანელობას მისი იჯარით აყვანა უნდოდა, თუმცა, დალა ბონამ ყველას გააგებინა, რომ მათთან იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ისინი სრულყოფილ კონტრაქტს გაუფორმებდნენ. საწადელსაც მიაღწია.

იტალიური პრესის ცნობით, "მილანმა" ფეხბურთელში, რომელიც თავის დროზე "ჩელსის" ღირსებას იცავდა, 1,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

"ლივერპული" მზადაა, თავისი მეკარე "ვესტ ბრომვიჩს" დაუთმოს

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის "ლივერპულის" მეკარე კრის კირკლენდი ამჟამად "ვესტ ბრომვიჩის" შემადგენლობაში ვარჯიშობს. გამორიცხული არაა, რომ მან სწორედ ამ კლუბში გააგრძელოს თავისი კარიერა. "ლივერპული" მზადაა, 24 წლის ფეხბურთელი ერთი წლით გაასხვისოს.

"ვერდერი" ბელგიელი ფეხბურთელით გაძლიერდა

გერმანულმა საფეხბურთო კლუბმა "ვერდერმა" კონტრაქტი გააფორმა "საუთჰემპტონის" ფეხბურთელთან იელ ვან დამთან. 21 წლის ბელგიელი ერთი წლის განმავლობაში იჯარის წესით ითამაშებს ბუნდესლიგაში. "ვერდერის" მთავარი მწვრთნელის განცხადებით, ეს ფეხბურთელი "შტუტგარტში" გადასულ ლუდოვიკ მანიანს შეცვლის. უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, "ვერდერმა", შესაძლოა, ბელგიელი დაიტოვოს - იჯარის ვადის გასვლის შემდეგ გამოისყიდოს და მასთან სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმოს.

"რეალი" ოუენის გაყიდვას არ აპირებს

"ბიბისის" ცნობით, მადრიდის "რეალმა" წერტილი დაუსვა მაიკლ ოუენის გაყიდვა-არგაყიდვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ხმებს. ხელმძღვანელების განცხადებით, მადრიდელების 25 წლის ფორვარდი არ იყიდება. "სამეფო კლუბის" საფეხბურთო დირექტორი არიგო საკი კლუბის ამ გადაწყვეტილებას ასე ხსნის: "გუნდის მთავარი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ბრიტანელზე დიდ იმედებს ამყარებს".

შეგახსენებთ, მაიკლ ოუენის შეძენა ინგლისურ კლუბებს: "ჩელსის", "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" სურდათ.

ფეხბურთი

"დინამოს" ნეიტრალური შედეგი ნეიტრალურ ქვეყანაში

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, 30 ივნისს, გერმანიიდან შვეიცარიაში გადანაცვლებულმა თბილისის "დინამომ" მორიგი საკონტროლო თამაში გამართა. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში საქართველოს ჩემპიონმა სამი ასეთი თამაში უკვე ჩაატარა და სამივე დიდი ანგარიშით (5:1, 5:0. 8:1) მოიგო. თუმცა, იმ შეხვედრებში ჩვენი გუნდის მეტოქეები ობერლიგის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა დამარცხება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. გუშინ კი ცხადაძის გუნდს გაცილებით სერიოზულ მეტოქესთან, შვეიცარიის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ "სენტ გალენთან" უწევდა გამოცდის ჩაბარება და უნდა ითქვას, რომ დინამოელებს თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ.

სენტ გალენი - დინამო 1:1 (1:0)

"დინამო": ზოიძე, ალადაშვილი, ქემოკლიძე (გიგაური, 46`), ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ნერგაძე (მახარაძე, 79`), ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი, 77`), ბობოხიძე (მეგრელაძე, 61`), მელქაძე (დვალიშვილი, 61`).

გოლები: 1:0 ირიჩი 8`, 1:1 მელქაძე 47`.

შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ სადებიუტო წუთებში ჩაიარა. სწორედ ამ პერიოდში, მოედნის საკუთარ ნახევარზე პასკალის მიერ მოგერიებული ბურთი მიუვიდა ირიჩს, რომელმაც ქართველი მცველების უხეში შეცდომის წყალობით ზოიძესთან პირისპირ გასვლა და გოლის გატანა მოახერხა. გაშვებული გოლის შემდეგ სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას სტუმარი ფეხბურთელები დაეუფლნენ. ჩვენებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ არა მხოლოდ საპასუხო გოლის გატანა, არამედ დაწინაურებაც, მაგრამ სამი უაღრესად ხელსაყრელი მომენტის გამოყენება ვერ მოახერხეს. ერთ ეპიზოდში "სენტ გალენის" მეკარემ ორბელაძეს თავური სასწაულებრივ ნახტომში მოიგერია. მომდევნო ეპიზოდში ნერგაძის მიერ თავით კარში გაგზავნილი ბურთი უკვე მცველმა გამოიტანა კარის ხაზიდან, რასაც იმავე ნერგაძის "მაკრატელა" დარტყმა მოჰყვა ნახევარბრუნში, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. ტაიმის მიწურულს კანდელაკმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ბაბუნაშვილი, მაგრამ კარიდან 7 მეტრში მყოფ ქართველ ნახევარმცველს დარტყმა არ გამოუვიდა და ეს მომენტიც გამოუყენებელი დარჩა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ოდიკაძის ჩაწოდებას მელქაძის ზუსტი თავური დარტმა მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგაც, "დინამო" სრულ უპირატესობას ფლობდა, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ შეხვედრის მეორე ნახევარში "სენტ გალენის" ფეხბურთელებმა ზოიძის კარში მხოლოდ ერთი დარტყმის განხორციელება მოახერხეს. მატჩის მიწურულს მასპინძლებმა თითქოს მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ "დინამომ" საფინალო შტურმის განხორციელება მაინც მოახერხა და მსაჯის სასტვენმა შვეიცარიელებს პირდაპირ სულზე მიუსწრო.

"კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით. მატჩის დასაწყისში მცველებს უხეში შეცდომა რომ არ დაეშვათ, თამაშს ალბათ ჩვენ მოვიგებდით. ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრამ არამეგობრულ, ძალისმიერ და ხისტ ბრძოლაში ჩაიარა, რასაც უარყოფითად ნამდვილად არ ვაფასებ. ძალიან მალე ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო თამაში გველის და ასეთ დროს მსგავსი თამაში გამოცდილების დაგროვებაში დაგვეხმარება. მით უმეტეს, რომ ჩვენი მეტოქე, ესტონეთის "ლევადია" ტიპური ჩრდილოური გუნდია, ფიზიკურად ძლიერი, მაღალი ფეხბურთელებით", - აღნიშნა მატჩის დასდრულების შემდეგ კახა ცხადაძემ. სხვათა შორის, ცხადაძე ორი დღის წინ მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც საფეხბურთო კლუბ "მასკვას" და "ლევადიას" ამხანაგურ თამაშს დაესწრო. მატჩი მოსკოველების გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

"როგორც მოველოდი, "ლევადია" ძალისმიერ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. შეხვედრამ დამანახა ესტონელების ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ამ თემაზე საუბარი, როცა წინ "ლევადიასთან" ორრაუნდიანი ბრძოლა გვაქვს, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია", - ასეთი გახლავთ კახა ცხადაძის მცირე კომენტარი "მოსკვა" - "ლევადიას" თამაშზე.

ინფორმაცია

პარეირა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, რომ გუნდს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს. პარეირა ნაკრების მთელი ისტორიის მანძილზე მის ყველაზე წარმატებულ ბრაზილიელ მწვრთნელად ითვლება: 1994 წელს მან მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ერთი წლის წინათ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზეც მიაღწია წარმატებას. ორი დღის წინათ კი ბრაზილიის ნაკრები კონფედერაციათა თასის მფლობელი გახდა.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ 62 წლის სპეციალისტი ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს: "მე ფეხბურთის ერთგული ვარ. არა მგონია, სხვაგან მუშაობა შევძლო. ერთი იდეა მაქვს - მინდა ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის საკუთარი სკოლა გავხსნა".

გლები: "არსენალი" ჩემი ოცნების გუნდია"

"შტუტგარდის" ან უკვე ყოფილი ფეხბურთელის ალექსანდრ გლების "არსენალში" გადასვლას უკვე აღარაფერი უშლის ხელს - საქმე თითქმის დასრულებულია. "მეთოფეების" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ, როგორც კი ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და დიდ ბრიტანეთში მუშაობის უფლებას მიიღებს, მასში 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

პაბლო გარსია: "ბედნიერი ვარ"

პაბლო გარსიამ ეს-ეს არის ბოლივიას გოლი გაუტანა.

ურუგვაიული სამზარეულოს რესტორანში "Colonia Sacramento", რომელიც მადრიდის ცენტრში მდებარეობს, პაბლო გარსიამ და მისმა აგენტმა ფრანსისკო კასალმა მადრიდის "რეალთან" შეთანხმება აღნიშნეს. რესტორნის კართან ჯერ კიდევ "ოსასუნას" ფეხბურთელმა ინტერვიუ მისცა გაზეთს "As"-ს.

- შეიძლება მოგილოცოთ, თუ ჯერ კიდევ თავი შევიკავოთ?

- მხოლოდ მცირე დეტალები დარჩა მოსაგვარებელი, მაგრამ მე მშვიდი და აღფრთოვანებული ვარ. ჩემს გვერდითაა პაკო კასალი, რომელიც ჩემთვის მამასავით არის და ცდილობს, ეს დეტალები რაც შეიძლება სწრაფად მოაგვაროს.

- რას გრძნობ, როცა "რეალში" შენი გადასვლა ასე ახლოს არის?

- ეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა ჩემს საფეხბურთო კარიერაში. გრძნობების ტყვეობაში ვარ და მოუთმენლად ველი, როცა ყველაფერი დაკონკრეტდება, რადგან საქმე აქეთკენ მიდის.

- როცა "რეალის" ინტერესის შესახებ შეიტყვე, ჩემპიონატი უკვე დამთავრებული იყო?

- ამის შესახებ პრაქტიკულად მაშინ შევიტყვე, როცა ყველა თქვენგანმა. მაგრამ მე კითხვას არასდროს ვსვამდი და არაფრის გაგება არ მინდოდა, რადგან აბსოლუტურად ვენდობი პაკოს. კასალი ჩემი ინტერესებისთვის ყოველთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა.

- როგორია შენი აზრი "რეალის" შესახებ?

- ყველამ იცის, რომ ამ გუნდში კარგი ფეხბურთელები არიან თავმოყრილი. ასეთ გემრიელ კანფეტზე უარის თქმა შეუძლებელია. ეს გუნდი შეიძლება ფეხბურთელთათვის სპორტული კარიერის ნავსაყუდელი იყოს. ამ სეზონში "რეალი" ისე არ ბრწყინავდა, როგორც ადრე, ამიტომ ხმამაღალი სიტყვები ხანდახან ზედმეტია ხოლმე. უბრალოდ, საჭიროა გულმოდგინე შრომა.

- ხანდახან შენი სიტყვები "რეალის" შესახებ არც ისე ლამაზი იყო...

- ეს ის შემთხვევები იყო, როცა ვცდილობდი, მატჩისწინა პრესკონფერენციებზე ხეირი მენახა ყველაფრისგან, რაც ამ დროს ითქმება ხოლმე. საერთოდ, უნდა ეცადო, ყველა სიტუაციიდან სარგებელი გამოადნო. ეს არის და ეს. მე ყოველთვის ვცდილობ, ასე მოვიქცე. გამარჯვება ნებისმიერი ხერხით მიყვარს. ეს ყველა ურუგვაელს ახასიათებს.

- მინდორზე ელგერასთან იჩხუბე. ბოდიშს მოუხდი?

- ისევე როგორც მე, მანაც იცის, რომ მსგავსი ამბები მინდორზე რჩება. არსებობს თამაშები, როცა ემოციები და დაძაბულობა ზღვარს ცილდება. ეს ნორმალურია. დარწმუნებული ვარ, ისიც ასე ფიქრობს.

- არ გეშინია, რომ ამ ინციდენტების შემდეგ "რეალის" გულშემატკივარი აღარ მიგიღებს?

- ვიმედოვნებ, რომ ადამიანები თამაშის მიხედვით შემაფასებენ. თუ ჩემი ტრანსფერი განხორციელდება, "რეალის" ღირსებას ბოლომდე დავიცავ.

- და თავდაუზოგავად ეცდები ძირითად შეამდგენლობაში ადგილის დამკვიდრებას. "რეალში" მცველებს, ჩვეულებრივ, ძალიან უჭირთ. იოლი ცხოვრება არც შენ გექნება...

- ეს არ მაღელვებს. მშვიდად ვარ და მოუთმენლად ველი ლუშემბურგოსთან შეხვედრას. მასთან საუბრიდან შესაბამის დასკვნას გამოვიტან და მივხვდები, რას მოითხოვს ჩემგან. ჯერ კი უნდა ვიცოდე, როგორი სტილი ექნება გუნდს მომავალ სეზონში.

- შენ აშშ-ს ტურნეში გამეგზავრები. "ოსასუნასთან" შედარებით დიდი ცვლილებები გექნება!

- მართლაც. "ოსასუნაშიც" იყო ძალიან საინტერესო მომენტები. იქ კომფორტულად ვგრძნობდი თავს და მათი მისამართით მხოლოდ საუკეთესო სიტყვები შემიძლია ვთქვა. მათ შორის იმისთვისაც, რომ არ დამაბრკოლეს. მათ მიმართ მხოლოდ საუკეთესო სურვილები მაქვს. მას შემდეგ, რაც მადრიდის "ატლეტიკოში" კარიერა არ გამომივიდა, სწორედ "ოსასუნაში" მოვიპოვე პოპულარობა.

- შენ "რეალში" გადადიხარ, რათა იქ ძირითადი ფეხბურთელი გახდე?

- ჯერ ძირითადში ადგილი უნდა დავიმკვიდრო. იმედი მაქვს, "რეალის" გამარჯვებებში ჩემს წვლილს შევიტანთ. ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ახალ კლუბში მიდის, ვალდებულია, თანაგუნდელებს, მწვრთნელსა და საკუთარ თავს თავისი შესაძლებლობები დაუმტკიცოს.

- ეჭვი არ არის, რომ "რეალს" სჭირდებოდა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც შენ ხარ. ტომას გრავესენის მოსვლამ გუნდი გააძლიერა?

- ვფიქრობ, მის მიერ მადრიდში ნაჩვენები თამაში ყველასთვის სიურპრიზი იყო. მაგრამ მე არ მსურს ამ თემას ჩავუღრმავდე, ვიდრე გუნდის ფეხბურთელი არ გავხდები.

- მოგწონს სიტყვა "გალაქტიკო"?

- არ ვიცი... ის ჟურნალისტებმა მოიგონეს. მე თავს "გალაქტიკოდ" ვერ ვგრძნობ. მე ისეთივე ფეხბურთელი ვარ, როგორც ყველა. "კლასების" არ მჯერა.

- სხვათა შორის, გუნდში კიდევ ერთი ურუგვაელი დიოგო ითამაშებს. იცნობ?

- მის შესახებ მხოლოდ დადებითი აზრის გახლავართ. ის სწრაფი, უნივერსალური ფეხბურთელია და ძლიერი დარტყმა აქვს. მცველია, თუმცა, ხშირად ერთვება შეტევებში.

- მაშინ ახალ გუნდში ორივეს წარმატებას გისურვებთ.

- ჯერ კონტრაქტი უნდა გავაფორმო.

რაგბი

მოსკოვის გზა ბათუმზე გადის

ჰაატა თოთაძე

ხვალ ბათუმში ევროპული სერიის ბოლო, მეექვსე, ფინალურისწინა ეტაპი დაიწყება. ამ ექვსი ეტაპის შედეგების მიხედვით ირკვევა იმ გუნდების ვინაობა, რომლებსაც 16-17 ივლისს მოუწევთ თამაში მოსკოვში.

აქამდე გამართული ოთხი ეტაპის შემდეგ რუსეთის დედაქალაქში თამაშის უფლება მოიპოვეს საფრანგეთის, პორტუგალიის, რუსეთის, იტალიის, ლიტვის, უკრაინის ნაკრებებმა. ქართველებს ბათუმში მართებთ თავის გამოჩენა, რათა ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. დებულების მიხედვით თითოეულმა გუნდმა ორ ეტაპზე უნდა ითამაშოს. პირველი ბრძოლა ბორჯღალოსნებმა გასულ კვირას გადაიტანეს პოლონეთში. უსტრონში ჩვენებთან ერთად თამაშობდნენ უკრაინის, პოლონეთის, მოლდოვის, ლატვიის და ბულგარეთის ნაკრებები. პირველ დღეს ჯგუფურ ეტაპზე ქართველებმა სამივე მატჩი მოიგეს. მეორე დღე ისეთივე წარმატებული არ გამოდგა ჩვენი მორაგბეებისთვის. ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები უკრაინასთან დამარცხდა. საბოლოოდ ბორჯღალოსნებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ტურნირი კი უკრაინის ნაკრებმა მოიგო და, ფაქტობრივად, გაინაღდა ფინალურ ეტაპზე თამაში. სხვათა შორის, ეს პოლონეთში წლეულს გამართული მეორე ტურნირი იყო. უსტრონის ტურნირი რიგით მეოთხე გახლდათ ევროპულ სერიაში და, წესით, ის უკრაინაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა

ქართველი მორაგბეები შეეცდებიან შარშანდელი შედეგი გაიმეორონ.

მდგომარეობამ იძულებული გახადა რაგბის კავშირი, უარი ეთქვა შეჯიბრების გამართვაზე. პოლონეთშივე, ოღონდ სოპოტში გაიმართა სერიის პირველი ტურნირიც, რომელიც ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ესტაფეტა ხორვატიამ გადაიბარა. სპლიტის შვიდაცაზე პირველობა არავის დაუთმო პორტუგალიამ, რომელიც მთლიანად სერიის გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტიცაა. ამის შემდეგ ისევ ფრანგების ჯერი დადგა. ფრანგები წლეულს ალბათ ყველაზე ძლიერები არიან და საეჭვო იყო, შინაურ კედლებში ვინმესთვის დაეთმოთ გამარჯვება. ეს, რიგით მესამე ეტაპი, უსტრონის ტურნირის პარალელურად გაიმართა. სხვათა შორის, იგივე გამეორდება ახლაც. იმ დროს, როცა ბათუმში მეექვსე ეტაპის მონაწილეები შეიკრიბებიან, ანდორაში ჩატარდება სერიის მეხუთე ეტაპი, სადაც პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან ანდორის, გერმანიის, ბელგიის, ბოსნიის, ხორვატიის, ესპანეთის, ნორვეგიის, პორტუგალიის, საფრანგეთისა და სლოვაკეთის ნაკრებები.

ისევე როგორც პოლონეთში, ბათუმშიც საქართველოს ნაკრებს ზაზა ლეჟავას ნაცვლად მალხაზ ჭეიშვილი უხელმძღვანელებს. მას ადრეც უმუშავია შვიდაცაში, ამდენად, ეს საქმე მისთვის უცხო არ არის. ლეჟავა წინა ტურნირის დაწყებამდე გადადგა მწვრთნელობიდან. ახლა ის მსაჯთა სემინარზეა და ნაკრების მწვრთნელად მისი მუშაობის საკითხიც იქიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება. შესვენების შემდეგ ნაკრებში გამოჩნდა ბესიკ ხამაშურიძე, რომელსაც ექიმებმა ერთხანს საერთოდ აუკრძალეს თამაში. ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასეთია: მერაბ კვირიკაშვილი, ზვიად კობერიძე, ლექსო გუგავა, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, ვახტანგ ახვლედიანი, გიორგი შკინინი, დავით ჟამუტაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე.

10 მონაწილე ორ ჯგუფადაა გაყოფილი. ქართველებთან ერთად ჯგუფში ითამაშებენ მოლდოვის, ჰოლანდიის, აზერბაიჯანისა და აჭარის ნაკრებები. აჭარის ნაკრები ბულგარეთის ნაცვლად გამოდის (ბულგარეთმა ბათუმში ჩამოსვლა ვერ მოახერხა). მეორე ჯგუფში კი ითამაშებენ რუმინეთის, უკრაინის, რუსეთის, ისრაელისა და სომხეთის ნაკრებები.

ტელეპროგრამა

პარასკევი. 1 ივლისი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "გვადალაჰარა" (მექსიკა) - "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია). საპასუხო მატჩი
14:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
14:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/02. "სპარტაკი" - "ბავარია"
16:15 თავისუფალი დარტყმა
16:30 "ფუტბოლისტიკა"
17:00 "დიდი წინააღმდეგობები. განვლილი სეზონი - შოტლანდიის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ჩელსი"
18:45 თავისუფალი დარტყმა
19:00 სახვალიო ტელეპროგრამა
19:05 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი".
20:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:45 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "გვადალაჰარა" (მექსიკა) - "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია). საპასუხო მატჩი
22:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/02. "რომა" - "ლოკომოტივი"
00:15 "FUTBOL MUNDIAL"

НТВ+ПЛЮС
10:00, 15:45, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. ნახევარფინალები. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
16:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:00 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. ნახევარფინალი. "TORONTO MAPLE LEAFS" - "CAROLINA HURRICANES". მეოთხე მატჩი
19:30 ტაილანდური კრივი
20:30 "ყველაფერი რაგბიზე"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
22:00 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Gaz de France". პირდაპირი ტრანსლაცია საფრანგეთიდან
00:50 ახალი ამბები
01:05 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ

EUROSPORT
10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 რეიდ თავგადასავალი
11:30 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი იაპონიაში. კორეა - პოლონეთი
14:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი ჩინეთში. ბრაზილია - პოლონეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი ჩინეთში. გერმანია - ჩინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი ჩინეთში. ბრაზილია - პოლონეთი
21:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ფეხბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ფრისტაილ მოტოკროსი
00:00 ფეხბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:45 თავგადასავალი. "გაქცევა". ტელეჟურნალი
03:15 მულტისპორტი. VIP - საშვი

№ 000467048

მისია შესრულებულია - საქველმოქმედო ტელემარათონი დასრულებულია

ია ვეკუა

მეგობარმა ჟურნალისტმა, რომელიც, ძირითადად, საზოგადოების თემებზე მუშაობს, ერთხელ მითხრა: "კულტურის ჟურნალისტებს რა მოგკლავთ, ხან გამოფენებზე დადიხართ, ხან კონცერტებზე. ჩვენ კი გარე მოვაჭრეებისა და მეძავების გარდა ვერავის ვხედავთ". თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ყველა სფეროს ჟურნალისტები ერთი საკითხის გარშემო ერთიანდებიან. ეს შემთხვევა გუშინ დაფიქსირდა - მათ სტიქიის შედეგად დაზარალებულებს გაუწოდეს დახმარების ხელი.

მაშინ, როდესაც საქართველოში განუწყვეტლივ წვიმდა (რაც, საბოლოოდ, სტიქიურ უბედურებად გადაიქცა), სხვადასხვა ტელე თუ მწერალი ჟურნალისტები დაზარალებული ტერიტორიებიდან სახიფათო რეპორტაჟებს აკეთებდნენ. თუმცა, ეკრანიდან თუ გაზეთის ფურცლებიდან სტიქიაზე საუბარი მხოლოდ მორიგი ინფორმაციაა, რომელიც ნაკლებად აინტერესებთ დაზარალებულებს - მათ ქმედითი დახმარება სჭირდებათ. სწორედ, ამიტომ ჟურნალისტებმა დროებით პროფესია შეიცვალეს და სცენაზე გავიდნენ. მათ ტელემარათონში მიიღეს მონაწილეობა, რომლის მიზანიც წყალდიდობით დაზარალებულთათვის გარკვეული თანხის შეგროვება იყო.

როგორც მარათონის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, ორგანიზატორებმა 4 საათის განმავლობაში დაახლოებით 20 ათასი ლარის მოგროვება შეძლეს. მას დაემატება ის თანხა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ჩაირიცხება სპეციალურ ანგარიშზე. სწორედ, ამდენი ხნის განმავლობაში იქნება გახსნილი ანგარიში "საქართველოს ბანკში", რომლის რეკვიზიტები შემდეგია: № 000467048 (ლარებში) და № 501070678 (აშშ დოლარებში). ვისაც ქველმოქმედებით ანთებული გული აქვს, სერიოზულად აფიქრებს დაზარალებულთა ბედი ან, უბრალოდ, ჯიბეში ზედმეტ ფულს აღმოაჩენს, შეუძლია ამ ანგარიშზე ნებისმიერი რაოდენობის თანხა გადარიცხოს და ღამეც მშვიდად დაეძინება.

ასეთთა შორის უკვე არიან როგორც მსხვილი კომპანიები, ისე ჩვეულებრივი მოქალაქეებიც. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ფირმა "ავერსის", "ალდაგისა" და "ჯეოსელის" მიერ გაკეთებულ გადარიცხვებზე. ტელემარათონის დღეს კი მათ რიცხვს შემდეგი ქველმოქმედები შეემატნენ: ს/ს "თბილისმა", სუპერმარკეტმა "ევროცენტრმა" და საპატრულო პოლიციამ 500-500 ლარი გადარიცხეს. სპორტსაზოგადოება "დინამოს" თავმჯდომარე გოჩა ძასოხოვმა ქველმოქმედებისთვის 5 ათასი ლარი გაიღო, ხოლო კინოთეატრმა "რუსთაველმა" 300 ლარი. საკუთარი წვლილი შეიტანა ვაზისუბნის 172-ე საშუალო სკოლის ერთ-ერთმა კლასმა და პენსიონრებმაც კი, რომლებმაც თავიანთი პენსიიდან ქველმოქმედებისთვის 2-2 ლარი გაწირეს. გარკვეული რაოდენობის თანხა გადმორიცხეს საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმაც, ისინი ტელემარათონის მსვლელობას მთელ საქართველოსთან ერთად ტელეკომპანია "იმედის" ეთერით ადევნებდნენ თვალს.

მერაბ სეფაშვილი და ნინო არაზაშვილი

ვიდრე თანხა სპეცანგარიშებისკენ მიედინებოდა, ჟურნალისტები და მომღერლები სასიმღერო მარათონში იყვნენ ჩართულები, რომლის მსვლელობისას უნიჭო მომღერლების გარდა ნიჭიერი ჟურნალისტებიც გამოვლინდნენ. კონცერტი ტელეკომპანია "202-ის" წამყვანებმა გახსნეს. დინჯიმ და ვერიკო ტურაშვილმა ამ უკანასკნელის ძველი ჰიტი "შენზე" იმღერეს, ხოლო იმავე ტელევიზიის კოლორიტმა ლინზამ ასევე კოლორიტულ ანა ჯაკს გაუწია პარტნიორობა (მათი დუეტი საოცრად უმანკო იყო). შემდეგ სცენა რეპერმა კაბუმ დაიპყრო და მინიატურული მაია სიხარულიძე შეიამხანაგა. თეატრალიზებული იყო "სანეტელი" ლიზა ვადაჭკორიასა და ჯაბა ქარსელაძის დუეტი, ისევე როგორც ია ჩანტლაძისა და ზაალ წიკლაურის (ვინი) გამოსვლა, რასაც ვერ ვიტყვით "მზის" წამყვანი ვაკო ავალიანისა და ნატო გელაშვილის ნომერზე. ცნობილია, რომ გელაშვილის სიმღერებს ნებისმიერი უპრობლემოდ მღერის, ავალიანმა კი ისე დაიმორცხვა, როგორც "იღბლიან ჯენტლმენებში" მგლის როლის შემსრულებელ ბიჭუნას რცხვენია თქვას, რუხი მგელი ვარო.

რაც შეეხება ყველაზე ნიჭიერებს, ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს "რეიტინგის" ჟურნალისტი ნინო მურღულია. მან დუეტში ნინა წკრიალაშვილთან ერთად "მატირე" იმღერა. როგორც ჩანს, მურღულიამ იმდენი წერა და იკითხა ქართული ესტრადისა და მათი წარმომადგენლების შესახებ, რომ კარგად გაერკვა სცენის სპეციფიკაში. იგი მშვენივრად გრძნობდა თავს სცენაზე და ვოკალური მონაცემებიც ბევრ მომღერალზე გაცილებით უკეთესი აღმოაჩნდა. თითქმის იმავე წარმატებით იმღერეს ეკა ბერიძემ, სოფო ხუნწარიამ, ირაკლი მაისურაძემ, თათია თოფურიამ, გიორგი გოგიჩაიშვილმა, კოკა ყანდიაშვილმა, ლევან ჯავახიშვილმა, თამუნა გომართელმა, დიმა ობოლაძემ - ერთი სიტყვით ყველამ, რადგან ისინი ქველმოქმედების სახელით მღეროდნენ. ასეთი მისიის შესრულების დროს კი ნებისმიერი წუნი ეპატიებათ.

კონცერტები

თსუ
"იანგ ჯორჯიან ლოლიტაზე"
(კონცერტი, დისკისა და კლიპის პრეზენტაცია)
დას: 19:30 სთ.

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პრემიერა
ფერდინანდ ჰეროლდი
"ამაო სიფრთხილე"
ჯონ ლანჩბერის მუსიკალური რედაქცია და გაორკესტრება
ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია
დამდგმელი ქორეოგრაფი: ალექსანდერ გრანტი
დამდგმელი მხატვარი: ოსბერტ ლანკასტერი
კოსტუმების მხატვარი: ნათია სირბილაძე
დირიჟორი: ზაზა კალმახელიძე
ფასი: 4-18 ლარი.
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრი ათონელზე
სლავომირ მროჟეკი
"ემიგრანტები"
რეჟისორი: ი. აფაქიძე
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
"ცხრა პალმა"
დას: 18:00 სთ.

გამოფენები

შარდენი
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების საზაფხულო გამოფენა

ვერნისაჟი
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

ბაიას გალერეა
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

უნივერსი
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა "ცისარტყელა"

ჰობი
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

ქარვასლა
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

TMS
ცინ ბაილანის (ჩინეთი) ნამუშევართა გამოფენა
ჩინური ნაციონალური ფერწერა "გოხუა"

შარდენი
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ბავშვთა სურათების გალერეა
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

თავისუფალი და მზიანი ქალაქი

ფესტივალი ბათუმში

ვერა ნეფარიძე

დაფდაფებით გაღვიძებულ-გახსნილი მზიანი ქალაქი; ტამტამშოუ მზის ჩასვლისას; ქუჩის წარმოდგენები, თეატრის ანიმატორთა მობილური ჯგუფები, სპორტული თამაშები, ლუდისა და ნაყინის ჩემპიონატები, ბევრი დიჯეი (მათ შორის, უცხოეთიდან მოწვეულებიც), ცოცხალი კონცერტები და, რაც მთავარია, 500 დასაქმებული ახალგაზრდა - ასეთი იქნება ათი დღის განმავლობაში ბათუმის სანაპირო, "მზიანი ქალაქი" ქალაქში, სადაც საერთაშორისო ფესტივალზე 30 ათას სტუმარს ელოდებიან.

ლევან ჯავახიშვილის ფოტო

ბოლო წლების ერთადერთი საინტერესო ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც ბათუმს ახსოვს, ეს გიორგი აბაშიძის მიერ ორგანიზებული "სუბტროპიკია", რომელიც აჭარის მმართველებთან ერთად გაქრა. "მზიანი ქალაქი" შეიძლება "სუბტროპიკის" ანალოგადაც მივიჩნიოთ (როგორც დიჯეების ფესტივალები), თუმცა, ინიციატივას გასართობთან ერთად სოციალური დატვირთვაც აქვს: ფესტივალმა, რომელიც ზღვაზე დამსვენებელთა გართობის უალტერნატივო საშუალება იქნება, ახალგაზრდებიც უნდა დაასაქმოს.

საერთაშორისო სტატუსის ფესტივალი ბათუმის სანაპირო ზოლზე საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი "კავკასიის" ხელშეწყობით 15-დან 26 აგვისტოს ჩათვლით დაიგეგმა. "მზიანი ქალაქისთვის" გამოიყოფა სამი ჰექტარი ფართობი ბათუმის სანაპიროზე (რივიერა), მასში მოექცევა ბულვარი და არსებული ბუნგალოები. "მზიანი ქალაქი" დაიყოფა ნაწილებად; "თავისუფალ ქალაქში" მოეწყობა სცენები, რომლებიც ლაზერშოუებით იქნება აღჭურვილი; ფესტივალის ტერიტორიაზე იმუშავებს მიკრო ბარ-რესტორნები; განთავსდება საშხაპეები, ბიოტუალეტები, სანაგვე ურნები - მთელ ამ ტერიტორიას კი მოემსახურებიან მობილური ჯგუფები. ეს ჯგუფები დაკომპლექტება იმ ხუთასი სტუდენტით, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის "კავკასიის" მიერ ორგანიზებული განათლებისა და დასაქმების ფორუმში; ამავე ჯგუფებში გაერთიანდებიან ადგილობრივი სტუდენტებიც.

საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი "კავკასია" 2001 წელს, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კანადის წმინდა მარიამის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის განვითარების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) ფინანსური ხელშეწყობით. არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით ცენტრი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებას ეწევა როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში. ფესტივალს "მზიანი ქალაქი" ცენტრი წელს პირველად მართავს სხვადასხვა კომპანიის მხარდაჭერით. საკუთარი მსხვილმასშტაბიანი საზაფხულო ღონისძიების დეტალების გასაცნობად ცენტრის წევრებმა გუშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის შენობაში პრესკონფერენცია გამართეს.

ფესტივალში დიჯეების გარდა მონაწილეობას მიიღებენ თეატრალური დასებიც. მათ შორის იქნებიან: კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი, "ნაბადი" და მოზარდ მაყურებელთა თეატრი გია კიტიას ხელმძღვანელობით. დაგეგმილია ახალგაზრდა დიზაინერების, მათ შორის აკადემიის საუკეთესო სტუდენტების კოლექციების ჩვენებები. ფესტივალს კი გახსნის და დახურავს ცოცხალი მუსიკის კონცერტები. როგორც ორგანიზატორებმა თქვეს, ამ კონცერტებზე გამოვა ყველა საუკეთესო ჯგუფი: "სოფთ იჯექტი", "მწვანე ოთახი", "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ", "პაპარაცი" და ა.შ. მოფიქრებულია ფესტივალის დღის განრიგიც: მზიანი ქალაქის (რომელიც შემოღობილი იქნება) კარი დაფდაფების ხმაურის ფონზე გაიხსნება; ტერიტორიაზე მსურველები უფასოდ შევლენ; უფასო იქნება ცოცხალ მუსიკაზე დასწრებაც. 50-მდე ღვინის კასრზე დამონტაჟებული ტამტამი გააღვიძებს ქალაქს; დღის განმავლობაში კი გაიმართება სახალისო სპორტული თამაშები; მაგალითად, შეჯიბრება ნაყინის ჭამასა და ლუდის სმაში. "თავისუფალი ქალაქის" ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სავაჭრო ცენტრების, მაღაზიების, ლიტერატურული კაფეების გახსნა... ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს ნამდვილი პატარა ქალაქი ბათუმში. დაბოლოს: ახალგაზრდობის თავშეყრის ასეთ შესაძლებლობას ორგანიზატორები ნარკომანიისა და შიდსის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვისაც გამოიყენებენ.

იქნებ "ყაზბეგიც" აღგვედგინა

ქალაქ თბილისის პრემიერს ბატონ თემურ ქურხულს

ბატონო თემურ, თხოვნით მოგმართავთ ირაკლი აბაშიძის ქუჩის მცხოვრებლები. მოგეხსენებათ, ჩვენს ქუჩაზე დიდხანს არსებობდა კინოთეატრი "ყაზბეგი", რომლის ორივე დარბაზი თითქმის ყოველ სეანსზე ივსებოდა ძირითადად ვაკის რაიონის მცხოვრებლებით. მოუცლელობის ანდა სიშორის გამო ხშირად ვერ ვახერხებდით "რუსთაველსა" და "ამირანში" სიარულს და ველოდებოდით, როდის გადმოიტანდნენ ახალ ფილმს "ყაზბეგში". ასე დადიოდნენ ამ კინოთეატრში ჩვენი მშობლები, ჩვენც... ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს კი ეს სიამოვნება მოაკლდათ.

ათ წელიწადზე მეტია, "ყაზბეგი" აღარ არსებობს. როცა თბილისში უამრავი ობიექტი გაიყიდა, ყოფილ კინოთეატრსაც გამოუჩნდა პატრონი. ხან კაზინო გახსნეს, ხან - რესტორანი, ერთხანს ბიზნესკლუბიც იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ერთმა არ გაამართლა - შენობა უმეტესად მიტოვებული და დაკეტილია. როგორც ამბობენ, ახლაც გაყიდულია, მაგრამ ძველი და ახალი მეპატრონეები რაღაცაზე ვერ თანხმდებიან. იქნებ დაინტერესდეთ და თუ თქვენს კომპეტენციას არ სცილდება, ჩაერიოთ. ან იქნებ დააინტერესოთ ვინმე ბიზნესმენი და აღადგინოთ გაუქმებული კინოთეატრი. გვერწმუნეთ, ამით უამრავი ადამიანის გულს მოიგებთ.

გვჯერა თქვენი გულისხმიერების და ნებისმიერ შემთხვევაში ველით თქვენს პასუხს.

პატივისცემით
ო. თვალჭრელიძე,
მ. ჯოხარიძე, რ. ჩემია,
ს. ხარისჭირაშვილი,
თ. ჭოხონელიძე, მ. თევდორაძე,
მ. მიტიჩაშვილი, მ. ბიძიშვილი,
თ. ზონენაშვილი

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
ოჯახში ცხოვრობს
ოჯახში არ ცხოვრობს
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 საფუძარო ადგილი (მოკლედ აღნერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ახლა სად მუშაობთ? (მოკლედ აღნერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ოჯახი

10 თქვენი საცხოვრებელი გარემოცვა და ტელეფონები ?

11 რომელ დასაწყებამდე 8000 ლარს ერთი დღით ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დაშთარჩენს არ მიიღებს)

12 რომელ გარდცულ თავს ვისაც კონკურენციის პირობებში ? (ასანიშნ პასუხს)

13 რომელ წარმოდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თავების დროს ? (ასანიშნ პასუხს)

ჩვენ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაციის არის ზუსტი და რომ არც ერთ და არც ერთ წესის წესის არ მოვარდა საქმიანობის კრიტერიუმი "ხალხის 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გვიყვებით პროფესიის შესახებ?

მიიღებთ თქვენებისთვის თანხებს?

არ გეშინიათ, გაგიჟდებით ზანგის ჩვილის თანხით?

დეპრესიებისგან, ყურებში ე. წ. ბანგა პროფესიებზე, თავად, მოგვაგებინეთ პროფესიაზე.

გაგიჟდებით მონაწილეობის მისაღებად საკმარის გამოცდებ ზოგიერთ ზოგიერთ გაგიჟდებით, მეორის გარეშე და მოგვაგის სპექტრი.

ანკეტის შევსების ვალდებულება

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ზემოთ ფოტოსურათი, რომელზეც ნათლად ჩანს თქვენი სახე. ფოტოსურათი უნდა იყოს ფერადი. ასევე საჭიროა ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია. ფოტოსურათი უნდა ასახავდეს თქვენს სახეს და ტანის ზედა ნაწილს. ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ფერადი. ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ფერადი. ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ფერადი.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ბიზნესი ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გთავაზობთ ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 3-წლიან დაჩქარებულ კურსს BA (Hons) მიღებით ღირებულება £ 5960

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად

ამ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.

ამ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მუხეთის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

იყიდება ავტომობილი

ვერცხლისფერი დოჯი ნეონი, 2000 წლის გამოშვება, ძრავა 2.0, ბენზინზე, სრული ელექტროპაკეტით, განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 899 55 99 45

ჰილარი კლინტონი გეების აღლუმში მონაწილეობდა

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის მსხვილ ქალაქებში მასობრივი გეიაღლუმები გაიმართა. თავად მონაწილენი ამ საზეიმო ცერემონიას "სიამაყის აღლუმებს" უწოდებენ.

ჩიკაგოს, სიეტლის, ატლანტისა და სხვა ქალაქების ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ნიუ იორკში ჩატარებულ აღლუმში რამდენიმე სენატორი, მათ შორის ექსპრეზიდენტის მეუღლე ჰილარი კლინტონი მონაწილეობდა.

სან ფრანცისკოში აღლუმი ლესბოსელმა ბაიკერებმა გახსნეს. რიგში ჩამწკრივებულმა მოტოციკლისტებმა ქალაქის ქუჩებში უხმაუროდ ჩაიარეს. აღლუმის მსვლელობისას საქორწინო კაბებში გამოწყობილმა წვეროსანმა მამაკაცებმა მადონას სიმღერა Like A Virgin დაამღერეს. მოსახლეობა გეებითა და ლესბოსელებით დაკომპლექტებული ორკესტრის, მათი მშობლებისა და არატრადიციული ორიენტაციის მქონეთა მეგობრების ცქერითაც გაერთო. აღლუმის მონაწილეებმა დღესასწაული შვიდფერიანი დროშების (გეების სიმბოლო) ფრიალით აღნიშნეს. მსგავსი დღესასწაულები აშშ-ის სხვა ქალაქებშიც გაიმართა.

საინტერესოა, რომ გეების პირველი აღლუმი მოეწყო 1969 წელს, როცა ისინი საკუთარი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოვიდნენ. სხვათა შორის, მაშინდელ საჯარო გამოსვლას პოლიციასთან შეტაკებაც მოჰყვა. პოლიციასა და გეებს შორის არსებული კონფლიქტის მიზეზი მანჰეტენის ერთ-ერთ ბარში მომხდარი უსიამოვნო ინციდენტი გახდა. "ცისფერების" მტკიცებით, სამართალდამცავების რეიდი სწორედ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ოფიციალური ვერსიის თანახმად კი, ბარი არალიცენზირებული სასმელით ვაჭრობდა.

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ფეხსალარად.

ანკეტა გამოგვგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა

იმიჯ-ცენტრი გიწვევთ
მის საქართველო 2005-ში
მონაწილეობის მისაღებად.

17-დან 24 წლამდე ასაკის გოგონებო იჩქარეთ!
გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და მომხიბვლელობა!
გაიმარჯვეთ და მოიგეთ პრიზები!

გახდით მის საქართველო და გაემგზავრეთ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულსილამაზის კონკურსებზე:

მის მსოფლიო, მის სამყარო და მის ტურიზმ ინტერნეიშენალზე!

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით:
ვაჟა-ფშაველას №45 მე-7 სართული
ტელ: 53-69-11 20 00 20

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა" თავისუფალი ამრის რადიოFM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს დილით გადაცემა „ამბადასორი" -ში

მისი აღმაგებულება ლაგეთის საპაგო კონსული საქართველოში ქალბაგონი რეგინა იაკობიძე ქართველებს რჩევს

წამყვანები: ლეო ჯიბლაძე,გაგა გობრონიძე

რეგინა იაკობიძე: მე არა მარტო ლაგეთის საპაგო კონსული ვარ საქართველოში,არამედ ქართველების სგაგანი რჩალეც ვარ.
თითქმის 14 წელი ემუშაობდი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიგეგში და ხემოვის ძალიან ახლოა ის,რაც ამჟამად საქართველოს განათლების სისგემაში ხდება.მაგრამ მიმაჩნია რომ მთავარი რეფორმა უნდა შეეხოს სკოლას.
მე თბილისის უნივერსიგეგში მყავდა სგუდენგებიარსიძლებთანაც მჭირდებოდა სასკოლო მასალის თავდან ახსნა,მაგალითად ბევრმა არც იცოდა პროგენგის გამოთვლაშრომაში და ამ დროს დაბარება „მთავად ეკონომისგებზე".
რაც შეეხება გრამყოფილ „ეკრომასულ-გასგრონომიულ" მეკითხეებს გეპასუხებით: პირველი რაც დავინგერესდიო ქართველების ახალმა რჩალმაგმა იფო თევზეული.
ქართული სამმარეულოს შესწავლა დავიწყეგიო მთავარი მიზეზის გამო: რომელიმე მეულის მმობლები გვესგუმრებოდნენ,სუფრაზე უნდა ყოფილიყო ყველაფერი ქართული.